# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 14 ივლისი, 2011 წელი.

№131 (6742)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხელის გასვრა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონთან დაკავშირებით პარლამენტის ბიურომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო ②

## ილია მეორე: უმადლო ადამიანი უფალს არ უყვარს

**ადამიანი** ყოველთვის უნდა მადლობდეს უფალს, უმადლო ადამიანი უფალს არ უყვარს, — ბრძანა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ ქადაგებისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ილია მეორემ. და ამის მაგალითად უფლის მოციქული იუდა ისკარიოტელი დაასახელა, რომელმაც გასცა ქრისტე.

როგორც უწმინდესმა ბრძანა, უფალმა მოციქულებს ადამიანების გაცოცხლების, განკურნებისა და უამრავი სხვა მადლი მიანიჭა. იგივე მადლი მიეცა იუდასაც, თუმცა მასში ბოროტი შევიდა.





— როცა უფალმა მოციქულები აზიარა, იუდა ისე წავიდა, რომ უფლისთვის მადლობა არ უთქვამს. წმინდა მამები ამბობენ, რომ მას რომ უფლისთვის ეთქვა, რის გაკეთებასაც აპირებდა, მასში ბოროტი აღარ შევიდოდა, — აღნიშნა უწმინდესმა.

## საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები ვანო მერაბიშვილს შეხვდნენ

საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები, დაკავებული ფოტორეპორტიორების საქმეთან დაკავშირებით, შს მინისტრ ვანო მერაბიშვილს შეხვდნენ.

„შევთანხმდით, რომ დღევანდელი შეხვედრის რაღაც ნაწილი ყოფილიყო off the records. ჩვენ დავწერთ სტატიას ამასთან დაკავშირებით და გამოქვეყნდება. სამწუხაროდ, მანამდე შეხვედრის დეტალებზე ვერ ვისაუბრებ“, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ „როიტერის“ კავკასიის ბიუროს უფროსმა კორესპონდენტმა მარგარიტა ანთიძემ.

მისივე თქმით, შს სამინისტროში გამართულ შეხვედრას, მერაბიშვილთან ერთად, ესწრებოდნენ მისი მოადგილე ეკა ზღულაძე და სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილი. შეხვედრა 2 საათის განმავლობაში გრძელდებოდა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ „როიტერის“ ფოტორეპორტიორი დავით მძინარიშვილი, „ასოშიეიტედ პრესის“ პროდიუსერი სოფო მეგრელიშვილი, „ბლუმბერგის“ კორესპონდენტი ჰელენა ბედველი, „ფრანსპრესის“ კორესპონდენტი ირაკლი მეტრეველი.

## ვაჟა-ფშაველა — 150

მარად ჩვენი თანამედროვე გვირჩევს:

**რაც უნდა ჭირი მაგვკერძონ, ბილწ ნუ შაავეკვრით ზავითა!**



## „საქართველოს ხელისუფლებამ ეკლესიის წინაშე უკან დაიხია და სომხურმა ინტერესებმა კვლავ დარტყმა განიცადა“ ③

## ხალიბთა შთამომავალი ფოლადს სხვაგვარად კვერავს ⑤



## „ჩვენ არ მივიღებთ ელექტრონულ პასპორტებს“ ②



## „გშია? იცემვე!“



⑥

## თუ თავი არ გეცოდებათ, აზრძანდით თბილისის ზღვაზე, „დაისვენეთ“!



⑫

## ავტომანქანებს ვერ ვაწარმოებთ, მაგრამ ვყიდით



⑥

SIC!

# რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონთან დაკავშირებით პარლამენტის ბიურომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო

**პარლამენტის ბიურომ გუშინწინ კანონის განმარტებითი ბარათი დააზუსტა, თუმცა სხვა კანონთან მიმართებაში, მსგავსი რამ არასოდეს არ განხორციელებულა.**

**განმარტებითი ბარათი კანონპროექტს ახლავს ხოლმე თან მანამ, სანამ ის დამტკიცდება და გამოქვეყნდება. განმარტებით ბარათში საუბარია საკანონმდებლო ინიციატივის მიზანზე, არსზე, ფინანსურ გაანგარიშებებზე, ექსპერტების თანამონაწილეობაზე და ა.შ.**

„სამოქალაქო კოდექსში" ცვლილებების „განმარტებით ბარათს", „ინტერპრესნიუსი" უცვლელად გთავაზობთ.

„საქართველოს კონსტიტუცია აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას და ამავდროულად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან.

კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

კონსტიტუციით აღიარებული საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის როლი და განსაკუთრებული სტატუსი კიდევ უფრო ნათლად აისახა საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული არაერთი საკანონმდებლო აქტი ადგენს მთელ რიგ შეღავათებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებით.




საქართველოს მთავრობამ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად შექმნა ერთობლივი კომისია, რომელიც იხილავს ეკლესიისათვის კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისად სხვადასხვა ქონების გადაცემისა და დაბრუნების საკითხებს.

კონსტიტუციურმა შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის შემდეგ ნორმატიულ აქტთა იერარქიაში ყველაზე მაღალი დონის ნომატიულ აქტს წარმოადგენს, განსაზღვრა როგორც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი სტატუსი, ისე მისი საკუთრების უფლება.

კონსტიტუციური შეთანხმების თანახმად, ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, - სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. შესაბამისად, ეკლესია თავისი საქმიანობის განხორციელებისას არ საჭიროებს რაიმე სახის რეგისტრაციას.

კონსტიტუციური შეთანხმება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ეკლესიის საკუთრების უფლებას და ადგენს, რომ ეკლესიის ქონება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით.

კონსტიტუციური შეთანხმებით, სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს, მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.

საქართველოს სახელმწიფოსთან საქართველოში არსებული სხვა რელიგიური გაერთიანებების ურთიერთობა და მათი სტატუსი განსაზღვრება არა კონსტიტუციური შეთანხმებით, არამედ კანონმდებლობით. შესაბამისად, კანონმდებლობით უნდა დადგინდეს ამ გაერთიანებათა სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის წესი და პირობები. კანონმდებლობით განისაზღვრება აგრეთვე სხვა რელიგიურ გაერთიანებათა მიერ ქონებრივი უფლებების მოპოვებისა და განხორციელების საკითხები. აღნიშნული ურთიერთობები წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით, რომლებიც თანაბრად ვრცელდება ყველა ფიზიკური და იურიდიული პირის მიმართ.

კანონპროექტი აწესრიგებს მხოლოდ რელიგიური გაერთიანების უფლებას სახელმწიფოს მიერ დარეგისტრირდნენ, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. შესაბამისად, კანონპროექტი სახელმწიფოს მხრიდან ქონებრივი ან რაიმე სხვა სახის ვალდებულებებს არ წარმოშობს".

განჯა

**საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის განვითარებულ პროცესებზე, კოალიცია „თავისუფალი არჩევანის" სავარაუდო პოლიტიკურ პერსპექტივაზე, ასევე, რუსული პოპულარული რადიოსადგურის „ეხო მოსკვის" მთავარი რედაქტორისა და შემოქმედებითი ჯგუფის მხრიდან საქართველოს თემატიკით დაინტერესების მიზეზებსა და ამავე რადიოს ეთერში საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის გამოთქმულ განცხადებებზე „ინტერპრესნიუსი" პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს ზურაბ აბაშიძეს ესაუბრა.**



# დემოკრატიული კანონის მიღებას დემოკრატიული ფორმებისა და ფორმალობების დაცვა სჭირდება

**— ბატონო ზურაბ, საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირებამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ვითარებაში, როცა საპატრიარქო სხვადასხვა კონფესიებისთვის იურიდიული სტატუსის განსაზღვრის წინააღმდეგი არ იყო, გაუგებარია, რატომ დასჭირდა ხელისუფლებას უკვე მიღებულ კანონში საპატრიარქოს აზრის გაუთვალისწინებლობა და, ნებსით თუ უნებლიეთ, საპატრიარქოსადმი უპატივცემლობის საჯაროდ დემონსტრირება?**

— ვნებათაღელვა უსაფუძვლო ნამდვილად არ ყოფილა. დემოკრატიული კანონის მიღებას დემოკრატიული ფორმებისა და ფორმალობების დაცვა სჭირდება. საქართველოში სხვადასხვა რელიგიებისა და სარწმუნოების პატივისცემის დიდი ტრადიციები არსებობს. ამ ტრადიციებს, როგორც ძვირფას ნივთს, გაფრთხილება სჭირდება, რასაც ჩვენ, სამწუხაროდ, ხშირად არ ვაკეთებთ.

არსებითად, შინაარსობრივად ამ კანონის წინააღმდეგი არც საპატრიარქო იყო და არც - სამოქალაქო საზოგადოების უდიდესი ნაწილი. როგორც მე ვხედავ, პროტესტი და წინააღმდეგობა გამოიწვია ამ კანონის უაღრესად ნაჩქარევად მიღების ფორმამ. საკითხი რომ საპატრიარქოსთან შესაბამისად არ იყო შეთანხმებული, ეს აშკარად გამოჩნდა. გაჩნდა კითხვები — რატომ არაფერს არ გვეკითხებიან? კანონის მიღებამდე რომ მომხდარიყო მისი საჯარო განხილვა, ეს პროცესი გაცილებით იოლად და მშვიდად ჩაივლიდა. მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, როგორც ჩანს, ისიც გაუგებარია, თუ რა კავშირშია ეს კანონი ეკლესია-მონასტრების საკუთრების თემასთან. ამას ყველაფერს ახსნა-განმარტება სჭირდება.

მეორე მხრივ, ხელისუფლების ამპარტავნობას ჩვენში ზოგჯერ საპასუხო უზნეობა მოჰყვებახოლმე. თურმე, ნუ იტყვით და ვილაცას ბებია ჰყოლია პორტუგალიელი, ვიღასაც კი ბაბუა - ბულგარელი. და იწყება ამ სამარცხვინო „თემის" ირგვლივ სერიოზული სჯა-ბაასი. ჩვენს მედიაში ისეთსაც მოისმენ ან წაიკითხავ, რომ საკუთარ თვალებსა და ყურებს არ უჯერებ. ამას აფრიკის ჩამორჩენილი ტომებიც აღარ აკეთებენ. მიხვდნენ, რომ ერთი ადამიანი მეორეს ეთნიკური ნიშნით კი არ სჯობს, არამედ განათლებით, ზრდილობით, შრომისმოყვარეობით და ა.შ. 21-ე საუკუნეში ამაზე საუბარი უაღრესად უხერხული მეჩვენება.



დარწმუნებული ვარ, რომ ამ კანონის მიღებით ჩვენი ეკლესია კი არ დასუსტდება, პირიქით გაძლიერდება. ეკლესია სუსტდება მაშინ, როდესაც მრევლი ქრისტიანობის მთავარ პრინციპებს ივიწყებს და სიყვარულის მაგივრად სიძულვილის გზას ადგება.

**— წმინდა სინოდის სხდომის შემდეგ გაკეთებული კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, მხარეებს შორის კონსულტაციებისა და დიალოგის შედეგად კონსენსუსური გადაწყვეტილება იქნა მიღებული. კონსენსუსის დეტალებსაც რომ თავი დავანებოთ, უნებლიედ ჩნდება კითხვა — თუ კონსენსუსის მოძებნა შესაძლებელი იყო, რატომ არ შეიძლებოდა გახმაურებულ კანონპროექტზე პარლამენტსა და საპატრიაქროს კანონის მიღებამდე ემსჯელათ?**

— ჩვენში პრობლემები ხშირად „სიპ ქვაზე", ცარიელ ადგილას იქმნება-ხოლმე. ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია. ამ შემთხვევაშიც მგონი ასეა. თქვენი კითხვა პასუხსაც მოიცავს. მართლაც, კონსენსუსის მიღწევა, რა თქმა უნდა, კანონის მიღებამდე აჯობებდა, თუმცა კარგია, რომ საბოლოოდ თითქოს ვითარება გაირკვა. სამწუხაროდ, რელიგიურ და ეთნიკურ საკითხებში სიჩქარე კვალს ყოველთვის ტოვებს ადამიანების ცნობიერებასა და ურთიერთობებში. ახალს ვერაფერს ვიტყვი: მეტი სიფრთხილე და გონიერება მართებს ყველას, ვინც ამ პროცესში მონაწილეობს.

**— ბატონო ზურაბ, „ექვსიანმა" კოალიცია ჩამოაყალიბა და თავისი პოლიტიკური გეგმებიც განსაზღვრა, რომლის არსი ასეთია — „არჩევნებს მილიონი ამომრჩეველი იგებს და არა — მილიონი ლარი". თქვენი აზრით, რა შანსები აქვს კოალიციას პოლიტიკურ ავანგარდად იქცეს და საზოგადოებამ ხელისუფლების ალტერნატივად აღიქვას?**

— ეს საკითხი წინა თემასთან პირდაპირ კავშირშია, რადგან საქართველოში საქმე გვაქვს დაუბალანსებელ პოლიტიკურ სისტემასთან. ასეთ სისტემაში კი, ოპოზიციის აზრი არავის აინტერესებს.

6-იანის გაერთიანება პოლიტიკურ კოალიციად აბსოლუტურად სწორ და მისასალმებელ გადაწყვეტილებად მესახება. მოვისმინე ლიდერთა გამოსვლები 8 ივლისს მათი მხარდამჭერების შეხვედრაზე და ძალიან კმაყოფილი დავრჩი. სწორად იყო შერჩეული პრობლემები, საგარეო ორიენტირები, ტონალობა.

ჩემი დაკვირვებით, საზოგადოება ნელ-ნელა რწმუნდება, რომ მხოლოდ სამართლიანი არჩევნებია ქვეყანაში რეალური ცვლილებების გზა.

იხ. 4 გვ.

პროტესტი

# „ჩვენ არ მივიღებთ ელექტრონულ პასპორტებს"

**ეკლესიური საზოგადოება საერთოდ არ ეთანხმება ელექტრონულ საიდენტიფიკაციო ნომერს, სადაც „666", „777"-ით ელექტრონულნომრიან პასპორტში შესული იქნება სრული ინფორმაცია მის მფლობელზე, ამით მოხდება პიროვნების ისეთი დადგენა, რომლის მსგავსიც ისტორიას არ ახსოვს. ამის თაობაზე ათონის წმინდა მთამ, სრული შემადგენლობით ოფიციალური განცხადე-**



**ბა გააკეთა: „ჩვენ არ მივიღებთ ელექტრონულ პასპორტებს".**

**გუშინ ხელოვნების მუზეუმის წინ, სამლოცველოსთან, მართლმადიდებელთა მშვიდობიანი შეკრება გაიმართა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. აქციას უამრავი მოქალაქე ესწრებოდა. მათ სპეციალური მიმართვა გაუგზავნეს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, მასში ნათქვამია: „ხელისუფლებისგან ვითხოვთ შეწყდეს საქართველოს მოქალაქეებზე იძულებითი წესით ელექტრონული პირადობის მოწმობის, ბიომეტრიული პასპორტის პლასტიკური ბარათების გაცემა. ეს მოხდეს მხოლოდ ნებაყოფლობით. დღეს ფულის გადარიცხვა ავტომატების საშუალებით ისედაც გამარტივებულია. ყოველივე ეს კი ლახავს ჩვენს როგორც კონსტიტუციურ, ისე ადამიანურ უფლებებს და რელიგიურ მრწამსს.**

**გაკეთდა ათასობით ხელმოწერა. თუ მართლმადიდებელთა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, აშკარა გახდება, რომ საქართველოში მართლმადიდებლობის ინტერესებს შეგნებულად ილახება.**

ირინა ოზოლაშვილი

პირველი კომენტარი

# პარლამენტის თავმჯდომარემ დუმილი დაარღვია

**როგორც იქნა პარლამენტის თავმჯდომარემ „სამოქალაქო კოდექსში“ შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა. პრინციპში, მისი განცხადება იმდენად დაგვიანდა და ისე ჰგავს ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა მიერ გაკეთებულ განცხადებებს, რომ შეეძლო, არც არაფერი ეთქვა.**

მაგრამ, როგორც ჩანს, თავი მაინც დაიზღვია და ბიუროს საგანგებო სხდომაზე საგანგებო განცხადება გააკეთა.

მისი მტკიცებით, ვიდრე არსებული ხელისუფლება ქვეყნის სათავეშია, ქართულ ეკლესიასთან კონსტიტუციური შეთანხმება არ გადაიხედება და მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებული ადგილი ექნება.

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, კათოლიკოს-პატრიარქის და წმინდა სინოდის პოზიცია ჩასაფრებული ადამიანებისთვის სერიოზული სიგნალია და კარგად უნდა გაიაზრონ.

ბაქრაძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მის უწმინდესობას, ილია მეორეს „როგორც ყოველთვის, ისევე ამ შემთხვევაშიც, აბსოლუტურად გონივრული და ბრძნული პოზიციისთვის“.

ასევე მადლობა გადაუხადა წმინდა სინოდს კომპრომისული გადაწყვეტილებისთვის, რომელიც გუშინწინ მიიღეს წმინდა სინოდის სხდომაზე.

ბაქრაძის შეფასებით, „მისი უწმინდესობის და სინოდის ეს პოზიცია იმ ადამიანებისთვის სიგნალი უნდა იყოს, რომლებიც მუდმივად ჩასაფრებულნი არიან და ცდილობენ ყველა თემა საკუთარი პოლიტიკური ინტერესისთვის, ქვეყანაში დაძაბულობის პროვოცირებისთვის და რაღაც არეულობისა და განხეთქილებისთვის გამოიყენოს. ვფიქრობ ამ ადამიანებმა უწმინდესობისა და სინოდის პოზიცია კარგად უნდა გაიაზრონ“.

ამასთან, მან აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ „ძალა ერთობაშია“ გულისხმობს ყველა იმ ადამიანის რწმენის პატივისცემას, ვინც საქართველოში ცხოვრობს.

როგორც ბაქრაძემ განაცხადა, რწმენის თავისუფლება არის ერთ-ერთი ფუნდამენტური დებულება, რაც წმინდა სინოდის გუშინდელ განცხადებაში იყო აღნიშნული და ქართული საზოგადოება, ყოველთვის ცნობილი იყო თავისი შემწყნარებლობით და ტოლერანტობით განსხვავებული რელიგიების მიმართ.

მისი თქმით, საქართველოს აქვს საუკეთესო ისტორიული მაგალითი, როდესაც წმინდანად შერაცხული მეფე დავით აღმაშენებელი რეგულარულად დადიოდა მეჩეთში, სინაგოგაში და ამ გზით გამოხატავდა ქართული სახელმწიფოს დამოკიდებულებას განსხვავებული რელიგიების მიმართ.

„ეს არის ჩვენი სიმდიდრე და როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, რომ ძალა ერთობაშია, ერთობა გულისხმობს ყველა იმ ადამიანის რწმენის პატივისცემას, ვინც საქართველოში ცხოვრობს“, – განაცხადა ბაქრაძემ.

მისივე თქმით, საქართველოს ისტორიაში ყოველთვის იარსებებს რელიგია, რომელიც სრულიად განსხვავებულია ყველა სხვა რელიგიისგან და ეს მართლმადიდებელი ეკლესიაა. მართლმადიდებელ ეკლესიას ეკავა და უკავია განსაკუთრებული ადგილი ქართული სახელმწიფოს ისტორიაში, ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში და ეს ადგილი მას საკონსტიტუციო შეთანხმებით აქვს გარანტირებული. საკონსტიტუციო შეთანხმება კი, ბაქრაძის განმარტებით, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ყველაზე მაღალი ფორმა და საკანონმდებლო და იურიდიული გარანტიაა.



ბაქრაძემ ასევე აღნიშნა, რომ „სამოქალაქო კოდექსში“ შესული ცვლილებები ქონებრივ ვალდებულებებს არ შეიცავს და ქონების საკითხის ამ ინიციატივაზე ავტომატურად მიბმა დაუშვებელია.

მისი თქმით, საკონსტიტუციო შეთანხმებით საეკლესიო ქონების განკარგვა გადაცემული აქვს ქართული მართლმადიდებელ ეკლესიას.

„ეს არის თემა, სადაც ეკლესიას პოზიცია იქნება განმსაზღვრელი“, – დასძინა ბაქრაძემ.

ამასთან, კიდევ ერთხელ გაიმეორა მთავრობის მხრიდან ბოლო დღის განმავლობაში ძალიან ბევრჯერ ნათქვამი, რომ ეკლესიებისთვის ქონების გადაცემის საკითხებს საგანგებო კომისია გადაწყვეტს. ოღონდ მის ნათქვამში სიახლე ის იყო, რომ ამ კომისიაში პარლამენტის წევრებსაც ექნებათ მუშაობის უფლება.

**თეონა ხარაბაძე**

Presage.tv

ჟურნალისტური გამოძიება



# იპოთეკური თაღლითობა

**ამ ბოლო წლებში დემოკრატიული, თავისუფალი და სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა და ფუნქციონირებს მრავალი შპს, მრავალი საფინანსო-საკრედიტო და სანოტარო კანტორა თუ სხვა სამეურნეო-იურიდიული წარმონაქმნები, რომელთა მიზანი, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა იყოს, რომ ადამიანებს, ქვეყნის პატიოსან მოქალაქეებს გაუადვილოს ცხოვრება. მართალი გითხრათ, ხშირად, ეჭვიც კი არ გეპარება ამაში, მაგრამ, მოდით გადავხედოთ ერთ-ერთ კვლევას, რომელსაც ხელს აწერს ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“.**

...საქართველოს ხელისუფლება 2004-11 წლებში მიზანმიმართულად ახორციელებს მოსახლეობის ძარცვას თავის მიერვე შექმნილ საკანონმდებლო საშუალებებით, რის გამოც ქვეყანაში დღითი დღე მატულობს სილატაკე. ამ პროცესების ერთ-ერთი დამადასტურებელი მაგალითია 2004 წლიდან ქვეყანაში დამკვიდრებული იპოთეკური სესხების სახელშეკრულებო პრაქტიკა, რომელიც ეყრდნობა რა მოქმედ, არასრულყოფილ, არასამართლიან და არასწორუფლებიან საკანონმდებლო სისტემას, თავისთავად, „იცავს“ ჩვენს ქვეყანაში მომრავლებულ თაღლითებს და საკმარის „დასტურს“ აძლევს, რომ საქართველოში დამკვიდრდეს ადამიანის უფლებების შემლახავი სახელმწიფო კანონმდებლობა. გამომდინარე აქედან, თაღლითებისთვის შექმნილია ყველა პირობა,რომ მოტყუებული მოსახლეობა აღმოჩნდეს სახლის, ბინის, მიწის და სხვა სახის უძრავ-მოძრავი ქონების გარეშე.

ამის მაგალითები მრავლად არის, მაგრამ ამჯერად, ზოგიერთ მათგანზე შევჩერდებით.

სააგენტოში განცხადებით მოგვმართა რამდენიმე იპოთეკარმა, 2010 წლის 30 აგვისტოს – სოფიო დადიანმა, 2010 წლის 15 დეკემბერს – შორენა დარბაიძემ, ხოლო 2011 წლის 2 იანვარს – მიხეილ ქვირიამ (ქალბატონ შორენა დარბაიძის მეუღლემძ.

საქმე შემდეგი გახლდათ: სოფიო დადიანმა და შორენა დარბაიძემ 2007-2008 წლებში სამშენებლო-სამრეწველო კორპორაცია „მშენებელზე“ (დამფუძნებელი საქართველოს საერთაშორისო ახალგაზრდული ფონდი – (10 პროცენტიძ და კერძო პირი ოლივია ჯანელიძე – (90 პროცენტიძ, დირექტორი ლია დოლიძე – ოლივია ჯანელიძის ქალიშვილიძ, იპოთეკური სესხის სახით გასცეს, ერთმა 10555 დოლარი, მეორემ 60 ათასი აშშ დოლარი, ხოლო მიხეილ ქვირიამ 2008 წლის ოქტომბერში, 3 თვის ვადით, შპს „იბერია სიტიზე“ გასცა 20 ათასი აშშ დოლარი (დამფუძნებელი და დირექტორი გიორგი გოგიბერიძეძ.

„მშენებელი“ თავის მხრივ სოფიო დადიანზე ყოველთვიურ სამპროცენტიან სარგებელს გასცემდა, შორენა დარბაიძეზე კი, სამი თვის მანძილზე – ყოველთვიურ ხუთპროცენტიან სარგებელს. ხოლო შპს „იბერია სიტი“ მიხეილ ქვირიას ორი თვის მანძილზე აძლევდა ასევე ხუთპროცენტიან სარგებელს. დათქმული დროის შემდეგ ამ შპს-ებმა ხსენებულ იპოთეკარებს არა მარტო შეუწყვიტეს ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთის გაცემა, არამედ გარკვეული ვადით განუსაზღვრეს იპოთეკური სესხის ძირითადი თანხის დაბრუნება.

2009 წლის 4 სექტემბერს სოფიო დადიანსა და შპს „მშენებელს“ შორის იპოთეკურ სესხთან დაკავშირებული სამოქალაქო დავა განიხილა საარბიტრაჟო სასამართლო „ნითამ“ და მიიღო გადაწყვეტილება სოფიო დადიანის სასარგებლოდ. შპს „მშენებელს“ დაეკისრა შორენა დადიანის სასარგებლოდ გადაეხადა ზემოთ აღნიშნული თანხა – 10555 აშშ დოლარი და ასევე საპროცენტო განაკვეთი. შპს-მ არ ჩათვალა საჭიროდ, გაესაჩივრებინა სასამართლო გადაწყვეტილება, რამაც განაპირობა ის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება დღესდღეობითაც ძალაშია. ამიტომ იპოთეკარმა სოფიო დადიანმა მიმართა სააღსრულებო ბიუროს, რადგან, როგორც ცნობილი გახდა, შპს-ს ამ დროისთვის ჰყავდა 65 იპოთეკარი და მათ მიერ გაცემული იპოთეკური სესხის ჯამი შეადგენდა 700 ათას დოლარს, მაშინ როდესაც შპს-ს საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ღირებულება, რაშიც იპოთეკური სესხები იყო ჩადებული, არ აღემატებოდა 200 ათას დოლარს.

2009 წლის დეკემბერშიც იპოთეკარებმა მოიგეს საარბიტრაჟო სასამართლოც! შპს-ს არც ახლა გაუსაჩივრებია სასამართლოს გადაწყვეტილება და საბოლოოდ იპოთეკართა მფლობელობაში გადავიდა შპს-ს უძრავი ქონება და ისინი თანამფლობელები გახდნენ. თუმცა 65 იპოთეკარის არსებობის პირობებში, თუნდაც, გაეყიდათ შპს-ს ქონება, მათ აღარაფერი დარჩებოდათ!

იპოთეკარებმა შორენა დარბაიძემ და მისმა მეუღლემ მიხეილ ქვირიამ ჩვენ მოგვმართეს, რათა დავხმარებოდით როგორმე დაებრუნებინათ შპს „მშენებელზე“ და „იბერია სიტიზე“ გაცემული ძირთანხები.

იხ. 4 გვ.

სომეხი ექსპერტების შეფასება

# „საქართველოს ხელისუფლებამ ეკლესიის წინაშე უკან დაიხია და სომხურმა ინტერესებმა კვლავ დარტყმა განიცადა“



სომეხი ექსპერტების შეფასებით, **„საქართველოს ხელისუფლებამ ეკლესიის წინაშე უკან დაიხია და სომხურმა ინტერესებმა კვლავ დარტყმა განიცადა“.**

ასე გამოეხმაურა საზოგადოებრივი მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ ლიდერი არნოლდ სტეფანიანი „News.am“-თან საუბრისას პარლამენტის მიერ დღეს რელიგიური გაერთიანებების სტატუსის შესახებ კანონის ე.წ. განმარტებითი ბარათის მიღების ფაქტს.

მისივე შეფასებით, **„ახალი საკანონმდებლო ცვლილებები რელიგიურ ორგანიზაციად დარეგისტრირების უფლებას ტოვებს, თუმცა ადრე მინიჭებულ ფართო უფლებამოსილებებს აუქმებს“.**

**„საქართველოს ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის ამ კონსენსუსმა ქვეყანაში შიდა პოლიტიკური დაპირისპირება განმუხტა, თუმცა სერიოზული დარტყმა მიაყენა სომხურ სამოციქულო ეკლესიას, რომელიც სომხური ეკლესიების დაბრუნების შესახებ განაცხადს ვეღარ გააკეთებს, მაშინ, როცა 5 ივლისს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები ამის იმედს იძლეოდა“.**

ამასთან, როგორც „News.am“ საქართველოში სომხური სათვისტომოს ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება, **„ბოლო პერიოდში საქართველოში ანტისომხური განწყობის მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა“.**

**„მხოლოდ ამ ორგანიზაციაში 38 საჩივარი შევიდა, რომელიც რელიგიური, კულტურული, პოლიტიკური მოღვაწეების მხრიდან ანტისომხურ განცხადებებს შეეხება, ოთხ შემთხვევაში კი რელიგიურმა ფუნდამენტალისტებმა განაცხადეს, რომ „ქართული ეკლესია სომხებისგან სისხლის ფასად უნდა დაიცვან“,** – წერს „News.am“.

მისივე ინფორმაციით, არნოლდ სტეფანიანი პროკურატურაში შესატანად განცხადებას ამზადებს და გარდა ამისა, აღნიშნულ ფაქტებს საქართველოს პატრიარქს წარუდგენს.

**მაკა ბრეგვაძე**

„პირველი“

ინფორმაცია

## სურვილი აქვთ, მაგრამ „სამშობლოს“ მაინც ვერ ყიდიან

**გამომცემლობა „სამშობლოს“ საპრივატიზაციო აუქციონი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 19 ივლისისთვის გადადო.**

**საპრივატიზაციო აუქციონი სამშაბათს, 12 ივლისს უნდა გამართულიყო, თუმცა სამინისტრომ ვადები გადაწია. სამინისტროში აუქციონის გადაწევის მიზეზებს არ აკონკრეტებენ და სავარაუდო ტექნიკურ შესწორებაზე საუბრობენ.**

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ელექტრონული აუქციონის ფორმით იყიდება კოსტავას №14-ში მდებარე 9 447 კვ.მეტრის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი 16 200 000 ლარია.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ განსჯა

# დემოკრატიული კანონის მიღებას დემოკრატიული ფორმებისა და ფორმალობების დაცვა სჭირდება

(მეორე გვერდიდან)

**— ბატონო ზურაბ, „ეხო მოსკვის“ მთავარმა რედაქტორმა ალექსეი ვენედიქტოვმა თავის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად საქართველოში ერთი კვირა დაჰყო და ქვეყნის პირველ პირებთან საინტერესო ინტერვიუები ჩაწერა, რომლის მოსმენის საშუალება „ეხო მოსკვის“ მსმენელს უკვე ჰქონდა. როგორ შეაფასებდით რუსეთში პოპულარული რადიოსადგურის მხრიდან საქართველოსადმი საკმაოდ დიდი დოზით დაინტერესებას და რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე იმ მასალებმა, რომლებიც „ეხო მოსკვის“ საიტზე ახლაც დევს?**

— გულწრფელად მივესალმები „ეხო მოსკვის“ საქართველოთი დაინტერესებას. ეს ის რადიოსადგურია, რომელსაც თვალს ადევნებს რუსული საზოგადოების გონიერი ნაწილი, არა მხოლოდ მოსკოვსა და რუსეთში, არამედ — უცხოეთშიც. მე თითქმის ყველა ინტერვიუს გავეცანი. ჩანს, რომ რუსეთში საქართველოს მიმართ ინტერესი კვლავ არსებობს და ამ გადაცემებმაც ქართულ-რუსული ურთიერთობების თემის აქტუალიზაცია თავისთავად მოახდინეს. პირადად კარგად ვიცნობ ბატონ ვენედიქტოვს, იგი მართლაც მაღალი დონის პროფესიონალია. „ეხო მოსკვისაც“ ძალიან ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია იმისათვის, რათა ყოფილიყო ისეთი, როგორიც დღეს არის.

რაც შეეხება ინტერვიუებს, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვინაიდან საუბარი წარიმართა როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებთან. ასე რომ, თავისთავად ეს მასალა საკმაოდ საინტერესოა და სხვადასხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. საერთო ჯამში, ალბათ მსმენელი დარწმუნდებოდა იმაში, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობების ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და რაღაც უნდა შეიცვალოს. დაკვირვებული და გონიერი მსმენელი იმასაც მიხვდებოდა, რომ საქართველოში სურთ ვითარების უკეთესობისკენ ნელ-ნელა შეტრიალება.



**— მოსკოვში გამგზავრებამდე ბატონმა ალექსეი ვენედიქტოვმა ქართველი ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა და ჩვენს კითხვაზე, თუ როგორ ესახება მას ქართულ-რუსული ურთიერთოების პერსპექტივა, ასეთი პასუხი გაგვცა — „ამ საკითხში ოპტიმიზმის რეალური საფუძვლები იმის გამო არ არსებობს, რომ ქართულ და რუსულ ელიტებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხში დიამეტრალურად განსხვავებული და შეურიგებელი პოზიციები აქვთ. უახლოეს მომავალში ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესებას არ ველოდები“. ვითარებაში, რომელშიც ვართ, თქვენ როგორ გესახებათ ქართულ-რუსული ურთიერთობების მკვდარი წერტილიდან დაძვრა, რომლის აუცილებლობაზე ასევე ბევრს საუბრობენ საერთაშორისო ორგანიზაციები?**

— არა მგონია, რომ საქმე მხოლოდ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხში პოზიციათა სხვაობაში იყოს. პრობლემა ისიც არის, რომ მოსკოვი კატეგორიულად ამბობს უარს საქართველოს ხელისუფლებასთან დიალოგზე და ამ პოზიციას არ ცვლის. ასევე ის მოვლენები, რომლებიც ჩვენში პერიოდულად ხდება ხოლმე და რუსეთის მიერ წაქეზებულად თუ ორგანიზებულად აღიქმება, უძლიერებს ჩვენს ხელისუფლება რწმენას, რომ მოსკოვი მიზნად ისახავს არა დიალოგს, არამედ საქართველოში არაკანონიერი გზით პოლიტიკური ვითარების შეცვლას. არსებობს სერიოზული ეჭვები და გამაღიზიანებლები, ამიტომ ასეთ სიტუაციაში მართლაც ძნელია ელოდო უკეთესობისკენ ვითარების შემოტრიალებას. ეს თავისთავად ძალიან ცუდია და დიდი რისკების მატარებელი. რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას უმაღლეს დონეზე პოლიტიკური ნება სჭირდება. რაც არ უნდა მოინდომონ სამოქალაქო სექტორმა, კულტურის მოღვაწეებმა, ექსპერტებმა, ვითარება მაინც თვისობრივად არ შეიცვლება.

**კობა ბენდელიანი**

◉ ჟურნალისტური გამოძიება

# იპოთეკური თაღლითობა

(მესამე გვერდიდან)

ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“ მაშინვე შეუდგა საქმის გამოძიებას და პრინციპული შესწავლის შემდეგ გამოავლინა თაღლითობათა მთელი კასკადი. შედეგად გაირკვა, რომ ამ „კასკადში“ ე.წ. იპოთეკარებთან, შუამავლებთან და ნოტარიულ პარტნიორებთან ერთად ფიგურირებენ ზოგიერთი ზემდგომი ორგანოები და პიროვნებები!“



„... შპს „მშენებელის“ ხელმძღვანელობას იპოთეკარებთან სამოქალაქო დავის შემთხვევაში წინასწარ ჰქონდათ განზრახული საპროცენტო განაკვეთების გაცემის შეწყვეტა და, ამავე დროს, იპოთეკური სესხების ძირთანხების სრული ოდენობით არდაბრუნება და საბოლოოდ იპოთეკარებთან სამოქალაქო დავის თითქოსდა „მშვიდობიანად“ დასრულება... და ასეც მოხდა!

შპს-ს ხელმძღვანელობას განხორციელებულ თაღლითობაში „მხარს უჭერდნენ“ ნოტარიუსი ეკატერინე ჩაჩანიძე და ე.წ. შუამავლები — ინდმეწარმეები მანანა დანელია და ბორის ფანჩულაძე! ეს ის ეკატერინე ჩაჩანიძე გახლავთ, რომელიც 2010 წელს ყალბი ხელმოწერის დამოწმებისთვის გასამართლებული იყო და მიესაჯა კიდეც შვიდწლიანი პირობითი პატიმრობა. საპროცესო გარიგების შედეგად იგი პატიმრობიდან გათავისუფლდა. ამის მიუხედავად, ეკატერინე ჩაჩანიძეს ისევ მიუწვდებოდა ხელი სანოტარო დოკუმენტაციებზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სანოტარო პალატის ხელმძღვანელის ნინო ხოფერიას მხრიდან „გულთბილი განწყობის“ შედეგად პატიმრობიდან გამოსვლის შემდეგაც გააგრძელა მუშაობა სანოტარო ბიუროში, თუმცა არა ნოტარიუსის, არამედ, იურისტის რანგში...

იმედს ვიტოვებთ, ვიფიქროთ, რომ იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობა დაინტერესდება ჩვენი პუბლიკაციით!

ამ თაღლითურ წრეში აქტიურად იყვნენ „მოქცეულნი“ ე.წ. იპოთეკარი შუამავლები მანანა დანელია და ბორის ფანჩულიძე. სწორედ ისინი გადაიქცნენ იპოთეკარებისთვის საპროცენტო განაკვეთის შეწყვეტისთანავე, ფაქტობრივად, შპს-ს დამცავ ბასტიონად. ისინი ყოველი ღონით ცდილობდნენ შპს-ს ხელმძღვანელობასთან არ დაეშვათ იპოთეკართა პრეტენზიები.

ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცის“ მიერ მოპოვებული დოკუმენტური ფაქტების საფუძველზე დასტურდება, აგრეთვე თაღლითობის ორგანიზებული ჯგუფის არსებობა.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა შპს „იბერია სიტის“ და იპოთეკარ მიხეილ ქვირიას ურთიერთობის შემთხვევაშიც. აქაც კვლავ ფიგურირებს იგივე გვარები და ნოტარიუს ეკატერინე ჩაჩანიძის სახელი.

2011 წლის 15 თებერვალს ჩვენმა სააგენტომ ზემოთ მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით 29-გვერდიანი დასკვნა და დოკუმენტური მასალების 491-გვერდიანი დანართი ჩააბარა იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურორს, შსს-ს „სოდს“ და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსს კანონიერი რეაგირებისთვის. ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიებას ატარებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტი.

ჩვენ მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების მასალებიდან გამომდინარე, აშკარაა, იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებით სისტემური, ორგანიზებული ტიპის დანაშაული, რომელსაც დავარქვით „იპოთეკური თაღლითობა“ და რომლის მთავარი შემსრულებლები იყვნენ არა მარტო ეკატერინე ჩაჩანიძე და შპს-ების ხელმძღვანელები და შუამავლები, აგრეთვე სახელმწიფო გუნდი, საგადასახადო და საჯარო რეესტრის სამსახურები, სანოტარო პალატა და ის, ვინც არ „ჩანს“ — უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელმაც დაუშვა და ნება დართო იპოთეკური სესხების არსებობას და, ამავე დროს, არ ჩათვალა საჭიროდ შეექმნა სრულყოფილი საკანონმდებლო პაკეტი, რომლის მეშვეობით „მწვანე გზა“ მიეცა ზემოთ გამოვლენილ თაღლითობას და თაღლითების ჯგუფს“.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
*ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“*

**P. S. სააგენტოს საბოლოო ანგარიშში დაწვრილებით არის მოთხრობილი იმ „ტექნოლოგიების“ შესახებ, რომლითაც მოქმედებდნენ ეს „საქმიანი“ საქმოსნები, მაგრამ ერთ საგაზეთო სტატიაში შეუძლებელია დაწვრილებით მოვყვეთ ამ თაღლითობაზე. დაინტერესებულ პიროვნებებსა და კეთილსინდისიერ სამართალდამცავ ორგანოებს დედანში შეუძლიათ გაეცნონ იმ უზარმაზარ მასალებს, რაც სააგენტომ უკვე წარუდგინა სათანადო ორგანოებს. რედაქციამ, მხოლოდ ზოგიერთი ამონარიდი შემოგთავაზათ სააგენტოს სქელტანიანი „ნაშრომიდან“!**

**თ. ჩ.**

◉ რეგიონი

# ქვემო ქართლში ოპოზიცია დადუმდა

**ქვემო ქართლში პოლიტიკური ცხოვრება მოკვდა. პარტიები, რომლებიც რამდენიმე თვის წინათ მთავრობის შეცვლის ლოზუნგებით გამოდიოდნენ და მოსახლეობას გააქტიურებისკენ მოუწოდებდნენ, დადუმდნენ.**

„სახალხო კრება“, რომელიც რეგიონში ყველაზე აქტიური იყო, დღეს აღარ არსებობს. ოფისები დახურულია, აქტივისტები — ნაცემები და პარტიულ ცხოვრებას ჩამოცილებულნი. **„ერთადერთი, რაც გვინდა, ისაა, რომ პოლიციამ თავი დაგვანებოს. ხედავენ, რომ არ ვაქტიურობთ — პრაქტიკულად სახლებიდან არ გამოდიან პარტიის წევრები და თავს მაინც არ გვანებებენ. 24 საათი დგანან ჩვენ სახლებთან და გვითვალთვალებენ. დაყვებიან კუდში ჩვენ ცოლებს, რომლებიც ეზოში ბავშვებს ასეირნებენ.**

**პირადად მე და პარტიის წევრების უმრავლესობა, არანაირ აქტიურობას არ ვაპირებთ. პირველ რიგში იმიტომ, რომ ხალხის მხარდაჭერა არ იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო. ასეთ ვითარებაში, მსგავს ძალასთან დაპირისპირება მარცხისთვის განწირულია.**

**ყველამ, ვინც ვიაქტიურეთ, ცხოვრება გავირთულეთ. ახლა, ოჯახების რჩენას ვერ ვახერხებთ. ახლობლებიც კი, როგორც კეთროვანს, ისე გაგვირბიან. სამაგალითოდ დაგვსაჯეს“** — ამბობს, „სახალხო კრების“ ახლა უკვე ყოფილი რუსთაველი წევრი.

„ქართული პარტიის“ ოფისი ღიაა, თუმცა პარტია აქტიური მუშაობის რეჟიმში არ იმყოფება. ამ შემთხვევაში რუსთავის პოლიციამ აღნიშნული პარტიის წევრებში შიშის ფაქტორის ჩასანერგად, პარტიის ხელმძღვანელის მოადგილე გოჩა კაკოიშვილი დააკავა და 30 დღე თეთრიწყაროს იზოლატორში ამყოფა. იქიდან გამოსულმა კაკოიშვილმა მეგობრებს დაწვრილებით უამბო, თუ რა ტანჯვა-წამება გამოიარა იზოლატორში. დღეს ამ ისტორიების გახსენება და მოყოლა მას აღარ სურს.

ყველამ, ვინც აქციებზე იაქტიურა, თავისი „სასჯელი“ სახელდახელოდ მოიხადა. მათ უმრავლესობას, ოჯახის წევრებიც გაუთავისუფლეს სამსახურებიდან, ზოგიც — შეაშინეს, თითო თვე იზოლატორებში ამყოფეს, გამოატარეს ტანჯვა-წამება, რომლის ხელახლა გავლა არავის სურს.

**„მეუბნებოდნენ, ნინოს შეაგინეო და ამას ტელეფონით იწერდნენ. დამცინოდნენ, მცემდნენ, ადვოკატებს არ გვახვედრებდნენ. ჩვენი ახლობლების შეგზავნილი საჭმელიც შემოქონდათ, მაგრამ ზუსტად იმდენი, რომ შიმშილით არ ამოგვხდომოდა სული. ამაზე უარესებიც გამოიარეს სხვა დაკავებულებმა, მაგრამ ყველაფერს ხომ ვერ მოყვებიან“** — ამბობს 30-დღიან პატიმრობაში მყოფი აქტივისტი. ოჯახის წევრებს არ სურთ, რომ ის გარეთ გავიდეს — შიშობენ, რომ შესაძლოა ისევ დააკავონ.

ერთადერთი ადგილი, სადაც მეტ-ნაკლებად გამოთქვამს, რეგიონის ოპოზიცია თავის აზრს, სოციალური ქსელებია. იქმნება ინტერნეტ-გაერთიანებები, სადაც ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს უზიარებენ, ეჭვებს გამოთქვამენ პარტიის იმ აქტიური წევრების მიმართ, რომლებიც, მათგან განსხვავებით, ყველანაირ ტერორს გადაურჩნენ. ნაწილი მათ შსს-ს მიერ შეგზავნილ კადრებად მოიხსენიებს.

**მოკლედ, ასეა თუ ისე, ქვემო ქართლში ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, ყველამ კარგად დაინახა, რომ ოპოზიციონერობა ადვილი საქმე არ არის. სამაგალითოდ დასჯილი ადამიანები ამის ცოცხალი მაგალითები არიან.**

**მანონ ბოკუჩავა,**
ქვემო ქართლი,
Presage.tv



არა გვგონია, რომ ბატონ **გურამ ქაშაკაშვილს** — ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავ პიროვნებასა და მამულიშვილს, თავისი საქმის დიდოსტატსა და ახალგაზრდა სპეციალისტთა ცნობილ აღმზრდელ-დამრიგებელს — განსაკუთრებული წარდგენა სჭირდებოდეს, მაგრამ მის რამდენიმე ბიოგრაფიულ მონაცემს მაინც გავაცნობთ მკითხველს.

იგი არის ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, დამფუძნებლის სტატუსით საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიისა და რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, საქართველოში რსმ აკადემიის განყოფილების თავმჯდომარე, დიდი ბრიტანეთის კემბრიჯის სამეფო უნივერსიტეტის ბიოგრაფიული ცენტრის საბჭოს წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიების ორგზის ლაურეატი (1988, 1994), რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ლაურეატი (2002წ.) და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ლაურეატი (2009წ.), 240 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 13 მონოგრაფიის, მეტალურგიულის მრავალენოვანი ტერმინოლოგიის ლექსიკონების ავტორი-გამომცემელი, 100-ზე მეტი გამოგონებისა და ორი მეცნიერული აღმოჩენის ავტორი (I რეგისტრირებულია თებერვალი 2010წ. №390, II მეცნიერული აღმოჩენა №416 რეგისტრირებულია 18.05.2011წ).

**გურამ ქაშაკაშვილის მეცნიერული კვლევების არეალი საგრძნობლად გაიზარდა, ჯერ ზესტაფონის ფეროშენადნობათა ქარხნის, შემდეგ კი რუსთავის მეტალურგიული კომბინატის გენერალურ დირექტორად მუშაობის პერიოდში. მეტალურგიის დარგის სამეცნიერო ინსტიტუტების წამყვანი მეცნიერების, საკუთარი კვლევების, გამოცდილების, გამოგონებებისა და ექსპერიმენტების საფუძველზე მან შეძლო ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი, დასავლეთ საქართველოს გარემოს დამაბინძურებელი, გაჩერების ზღვარზე მისული, ჯერ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, შემდეგ კი რუსთავის მეტალურგიული კომბინატი ტექნიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მაჩვენებლებით დარგის თანამედროვე, მოწინავე უნარჩენო პროდუქციის საწარმოებად გადაეიარაღებინა.**

# ხალიბთა შთამომავალი ფოლადს სხვაგვარად კვერავს

**ქართველი მეცნიერის აღმოჩენა, რომლის მეტალურგიაში დანერგვა 75 მილიონ ტონა თხევად საწვავსა თუ ბუნებრივ აირს, 187 მილიარდ კვტ.საათ ელექტროენერგიას, ფულად გამოსახულებაში კი რამდენიმე ტრილიონ დოლარს დაზოგავს და, რაც მთავარია, ეკოლოგია — გარემო ჯანსაღდება!**

და სწორედ ამ ორ აღმოჩენაზე გვინდა ყურადღების გამახვილება, რომლებიც ეძღვნება ფოლადსადნობი აბაზანის გაუნახშირბადიანოების და დანახშირბადიანების ახალ კანონზომიერებას თხევადი ლითონის, ბუნებრივი აირის და ჰაერის ნარევით ღრმა შებერვისას.

მსოფლიოში ფოლადის წლიური გამოდნობა 1,5 მილიარდ ტონას მიუახლოვდა. პროცესი ყველგან ფოლადის კომპონენტების დაჟანგვით, აბაზანაში ზემოდან წიდისა და ლითონის შეხების ზედაპირამდე ჩაძირული წყლით გამაციებელი საქშენით მიწოდებული ჟანგბადით მიმდინარეობს. ლითონის ხვრელის გახსნის შემდეგ (უმძიმესი ხელით შრომაა) ფოლადი სპეციალური ღარით 20-40 წუთის განმავლობაში ღუმელიდან ჩაედინება, ან კონვერტორიდან გადაისხმება საჩამოსხმო ციცხვში გარემოს უხეში, მძაფრი დაბინძურებით. გამოშვებისა და ჩამოსხმის პერიოდში ციცხვში დაყოვნებისას თხევადი ლითონი კარგავს 100-120$^{0}$-ს ტემპერატურას, ამიტომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ლითონს ამდენივე ტემპერატურით გადაახურებენ, რაც, გარდა იმისა, რომ სათბობის და სხვა მასალების უზარმაზარ გადახარჯვას იწვევს, საგრძნობლად აუარესებს ფოლადის ხარისხს მასში არალითონური, განსაკუთრებით აიროვანი ჩანართების მკვეთრი ზრდის გამო.

მკითხველისთვის უფრო გასაგები რომ იყოს, მსოფლიოში ერთი ტონა ფოლადის გამოდნობას დაახლოებით 200კგ-მდე პირობითი საწვავი (ბუნებრივი აირი ან მაზუთი) სჭირდება, ელექტროფოლადს კი — 450-500 კვ/სთ ენერგია. ამრიგად, ხვედრითი წილი სათბობიდან ფოლადის 120$^{0}$-ით გადახურებაზე მიდის ამ უკანასკნელის თითქმის მეოთხედი. **ეს მილიარდნახევარ ტონა ფოლადზე გადათვლით, 75 მილიონი ტონა თხევადი საწვავის ან მისი ეკვივალენტი ბუნებრივი აირის, ანაც 187 მილიარდი კვტ. საათი ენერგიის დაზოგვაა.** იზოგება დიდი რაოდენობით ფეროშენადნობი, ცეცხლგამძლე და სხვა მასალები. მკვეთრად უმჯობესდება ფოლადის ხარისხობრივი მაჩვენებლები. **ფულად გამოსახულებაში იზოგება რამდენიმე ტრილიონი დოლარი.**

იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში დღეს ენერგეტიკული კრიზისია, ამ კრიზისის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ითვლება მეტალურგიის დარგი, რომელზეც მიდის სათბობ-საწვავისა და ელენერგიის ნახევარზე მეტი. **ასე რომ, გურამ ქაშაკაშვილის აღმოჩენების ახალი კანონზომიერებით შექმნილი ფოლადსადნობი აგრეგატები საგრძნობლად შეამცირებენ ენერგიის ხარჯს და ხელს შეუწყობენ მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისის დაძლევას.**

**გურამ ქაშაკაშვილი აქტიურად მონაწილეობს მეტალურგიის დარგის წამყვან მრავალენოვან ჟურნალებთან. ის სარედაქციო კოლეგიის წევრია საერთაშორისო სამეცნიერო, საწარმოო ჟურნალების: „ფოლადი", „მეტალურგი" — ქ. მოსკოვი, „მეტალურგია და სამთომადნო მრეწველობა" — ქ. დნეპროპეტროვსკი, ხოლო საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „მეტალურგიის, შედუღების და ლითონმცოდნეობის პრობლემები" ქ. თბილისი მთ. რედაქტორის მოადგილეა.**

გურამ ქაშაკაშვილის მეცნიერული აღმოჩენების საფუძველზე ლითონის გამოსაშვები ხვრელიდან ღრმა შებერვით გაუნახშირბადიანოების და დანახშირბადიანების დამოკიდებულების ახალი კანონზომიერებით ფოლადის გამოდნობა, დაყვანა-განჟანგვა, ლეგირება, ინერტული აირებითა და რეაგენტებით რაფინირება ერთ აგრეგატში მიმდინარეობს გარემოს უზომოდ დამაბინძურებელი ლითონის გამოშვების პროცესის თავიდან აცილებით (რუსეთის ფედერაციის პატენტი №2405046 გაცემული 27.11.2010წ.).

ერთ აგრეგატში დნობის ყველა პერიოდისა და პროცესების ჩატარებით ლითონი ხურდება მხოლოდ ჩამოსხმისთვის საჭირო ოპტიმალურ ტემპერატურამდე გადახურების გარეშე. იმავე აგრეგატში ინერტული აირებითა და რეაგენტებით ქვევიდან გაქრევა-რაფინირებით ფოლადი არალითონური, მათ შორის აიროვანი ჩანართების მინიმალური ინდექსით ვაკუუმით დამუშავების დონემდე მიიღება. შედეგად იზოგება მილიარდობით ტონა სათბობი, ფეროშენადნობი და სხვა მასალები, მკვეთრად უმჯობესდება ლითონის მზა პროდუქციის ხარისხი და ეკოლოგიური მაჩვენებლები. **ამჟამად ჟენევაში, შვეიცარიის საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციაში, გურამ ქაშაკაშვილის აღმოჩენების საფუძველზე შექმნილი ფოლადსადნობი აგრეგატი საერთაშორისო დიპლომის მინიჭებისათვის განხილვის ფაზაშია.**

მეტალურგიული დარგი — ფოლადის დნობა — მისი ტექნოლოგიური ციკლი ძლიერ აბინძურებს გარემოს — წყალს, ჰაერს და აუარესებს ეკოლოგიურ მაჩვენებლებს. დნობის ტექნოლოგიურ ციკლში სხვადასხვა სახის გაზდამჭერი დანადგარებით ხდება გამოყოფილი აირების გაფილტვრა, მტვრის დაჭერა, წრიული წყალმომარაგების სისტემებით ჩამდინარე წყლების დაცვა მეტალურგიული შლამებისგან, და ამ ნარჩენების ამავე წარმოებაში დაბრუნება. მთელ მსოფლიოში ფოლადის დნობის ინტენსიფიკაცია ჟანგბადით ზემოდან შებერვით ხორციელდება. გურამ ქაშაკაშვილის მეცნიერული აღმოჩენებითა და გამოგონებებით, როგორც დნობის პროცესში ჰაერისა და ჟანგბადის მიწოდება ბუნებრივ აირთან ერთად ხდება ლითონის საჩამოსხმო შიბერის ხვრელიდან წყლის გამაციებელი საქშენის გარეშე, რაც მრავალჯერ ამცირებს გამოყოფილ მტვერს, რომელიც 3-4 მეტრი სიმაღლის გამდნარი ლითონის გავლისას იოლად დნება, ზრდის ლითონის გამოსავლიანობას და, რაც მთავარია, უსაფრთხოა, რადგან წყლით გაციების სისტემა არ გამოიყენება და დაცულია ყოველგვარი აფეთქებისგან. ამ მეტად საინტერესო ფაქტორების გამოყენებით ჩატარებული მეცნიერული კვლევები კიდევ უფრო საინტერესო ხდება.



**რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში მუშაობის პერიოდში გურამ ქაშაკაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით, ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიის ფაკულტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა, ქარხნის გამორჩენილ ინჟინრებთან ერთად, სამჯერ მოიპოვეს მეცნიერისათვის უმაღლესი საპატიო ჯილდო — საქართველოს სახელმწიფო პრემია. მარტენის საამქროს, ზესტაფონის ფეროშენადნობთა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნების მართვისას მისი ხელშეწყობით, სამეცნიერო ხელმძღვანელობით, კონსულტაციებითა და ოპონირებით დაცულია 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.**

რაც მთავარია, გარემოს ყველაზე დამაბინძურებელი პროცესი — სადინარში აგრეგატიდან ციცხვში გადახურებული ლითონის გამოშვება — საშინლად წამლავს ჰაერს აირებითა და დნობის პროცესის დროს გამოყოფილი ფოლადის კომპონენტებისა და აორთქლებული მძიმე ლითონების მტვრით, რომელსაც მსოფლიო მეტალურგიის პრაქტიკაში ვერსად ვერ იჭერენ და ფილტრავენ. **გურამ ქაშაკაშვილის წარმატებული სამეცნიერო ცდების შედეგად აღმოჩენებსა და გამოგონებებში ლითონის გამოსაშვები ხვრელის დაკეცვა-გაღების უმძიმესი ხელით შრომა და ლითონის საჩამოსხმო ციცხვში გამოშვება ფოლადის დნობის ტექნოლოგიური ციკლიდან ლიკვიდირებულია. ფოლადის გამოდნობა, დაყვანა, განჟანგვა, ლეგირება ინერტული აირებითა და რეაგენტებით დამუშავება ერთ აგრეგატში ხდება და პროცესის დასრულების შემდეგ ამავე აგრეგატიდან ხდება ლითონის ჩამოსხმა.**

და ბოლოს, როგორია გურამ ქაშაკაშვილის სამეცნიერო აღმოჩენების ახალი კანონზომიერების საფუძველზე შექმნილი ტექნოლოგიით მიღებული ფოლადის ხარისხი? პირდაპირ ვუპასუხებთ: გაცილებით მაღალი, ვიდრე ჩვეულებრივი ტექნოლოგიით მიღებულისა, რადგან ფოლადი ღუმელიდან გამოშვებამდე დღეს ყველა ქვეყანაში 100-120$^{0}$-ით უნდა გადახურდეს საჩამოსხმო ციცხვის მიერ წართმეული ტემპერატურის საკომპენსაციოდ, რაც საგრძნობლად აუარესებს ფილადის ხარისხს, რადგან, ტემპერატურის ზრდის პროპორციულად, ლითონის გადახურებისას მასში ცეცხლგამძლე მასალების ჟანგეულები და აიროვანი ჩანართების ოდენობა იზრდება 1600$^{0}$-მდე, ხოლო 1600$^{0}$-ის შემდეგ, 1660$^{0}$-1670$^{0}$-მდე, მათი ოდენობა ჰიპერბოლურად მატულობს. ბატონ **გურამ ქაშაკაშვილის მიერ ახალი კანონზომიერებით შექმნილ აგრეგატში გამოდნობა-დაყვანა-განჟანგვის და ინერტული აირებით დამუშავებისას ლითონის გადახურება 1570-1580$^{0}$-ს ზემოთ საჭირო არაა და ფოლადი მიიღება გაცილებით უკეთესი, მაღალი ხარისხის, ვიდრე ვაკუუმით დამუშავებულის, რომელიც დღეს სპეციალური მარკის ფოლადების გამოდნობისას წარმოების ციკლშია ჩართული უზარმაზარი დამატებითი ენერგიების და მასალების ხარჯვით.**

სამეცნიერო აღმოჩენების დამადასტურებელი დიპლომების გარდა, გურამ ქაშაკაშვილს ჯერ საბჭოთა ქვეყნის ნობელის პრემიის ლაურეატების მეკვლის პეტრე კაპიცას ვერცხლის, შემდეგ კი ოქროს მედლები გადაეცა წარწერებით — სამეცნიერო აღმოჩენის ავტორს.

ხოლო ორი სამეცნიერო აღმოჩენის დიპლომით პირველად დაჯილდოვდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რაც დიდი ისტორიული მოვლენაა. დღეისათვის საქართველოში შვიდი სამეცნიერო აღმოჩენიდან ორი ტექნიკურ უნივერსიტეტს და გურამ ქაშაკაშვილს ეკუთვნის.

**2010 წლის 30 მარტს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გურამ ქაშაკაშვილი მეტალურგიის დარგში ფასდაუდებელი ღვაწლისათვის შეტანილ იქნა დიდი ბრიტანეთის კემბრიჯის სამეფო უნივერსიტეტის ბიოგრაფიული ცენტრის საბოლოო საპატიო სიაში, რომელიც 2010 წლის 31 დეკემბერს სამუდამოდ იქნა დახურული საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის გენერალური დირექტორის და მდივნის ხელმოწერით. კემბრიჯი ინგლისი.**

**გ. ქაშაკაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ქალაქების: რუსთავის, ზესტაფონის, ბაღდათის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში, მის სახელს უკავშირდება ჩვენს ქვეყანაში ახალი სოფლების მშენებლობა ქვემო ქართლსა და ჯავახეთში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიული ფაკულტეტის კორპუსის, საშუალო-სპეციალური ტექნიკური სასწავლებლების, სკოლების, საბავშვო ბაღების, ეკლესია-მონასტრების მშენებლობა-აღდგენა-აღორძინება. დიდია მისი წვლილი გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-მეტალურგების, პედაგოგებისა და საზოგადო მოღვაწეების ნ. ნიკოლაძის, რ. ნიკოლაძის, გ. ნიკოლაძის, ნ. ქაშაკაშვილის, ნ. გომელაურის, ს. შარაძენიძის, ფ. თავაძის, ლ. ოკლეის, ა. გულისაშვილის, ლ. ხვიჩიას სახელების და სახეების უკვდავყოფაში, რომლებიც იდგნენ საქართველოს ინდუსტრიალიზაციის, მისი ტექნიკური უმაღლესი განათლების კადრებით უზრუნველყოფის სათავეებთან და დიდი ამაგი დასდეს ჩვენი ქვეყნის მრეწველობის განვითარებას.**

**ნუგზარ წერეთელი,**
ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**ომარ მიქაძე,**
შავი და ფერადი ლითონების მიმართულების გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საგარეო ვაჭრობა

# ავტომანქანებს ვერ ვაწარმოებთ, მაგრამ ვყიდით

**ექსპორტ-იმპორტის შეფარდება საქართველოში წლების მანძილზე უცვლელია და 1:3-თან თანაფარდობით გამოიხატება. მთლიანი სურათი წელსაც იგივეა — წლის დამდეგიდან ვიდრე ივნისამდე ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვამ დაახლოებით 3,5 მილიარდი დოლარი შეადგინა. აქედან მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 25 პროცენტი ექსპორტზე მოდის, „დანარჩენი" 75 პროცენტი კი იმპორტის წილია, რაც, რომ იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.**

აღსანიშნავია, რომ ექსპორტ-იმპორტის შეფარდების, წლების მანძილზე „მუდმივობასთან" ერთად, ნაკლებად ექვემდებარება ცვალებადობას ქვეყნიდან ექსპორტის რეჟიმით გადატანილი საქონლის სტრუქტურაც. წელსაც, ისევე როგორც წინა წლებში, **საქართველოს ექსპორტის უმეტესი ნაწილი შუალედურ საქონელზე, რესურსებსა და ნედლეულზე მოდის. კერძოდ, ექსპორტზე მიდის სპილენძის მადანი, დამუშავებული, ნახევრად დამუშავებული და ქვიშის სახით ოქრო, ნარჩენები და შავი ლითონის ჯართი, ასევე თხილი, ნიგოზი. ცოტ-ცოტა გაგვაქვს სპირტიანი სასმელები და ყურძნის ნატურალური ღვინო (ექსპორტის მთელი მოცულობის, შესაბამისად, 2,6 და 1,9 პროცენტი).**

მაგრამ ყველასგან გამორჩეული როგორც არსობრივად, ასევე „ღიმილნარევად", მაინც საქართველოდან უცხოეთში, უმეტესწილად სომხეთში, **მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანების ექსპორტია,** რომელიც ყველა დანარჩენ გატანილ სასაქონლო ჯგუფს ფარავს და დაახლოებით 22 პროცენტს შეადგენს! ამხელა „საავტომობილო დესანტით" მსოფლიოს ნებისმიერი წამყვანი ავტომწარმოებელი ქვეყანა იამაყებდა, რომ არა ის გარემოება, რომ ლაპარაკია ძირითადი „მეორადი მოხმარების", ანუ ექსპლუატაციაში უკვე ნამყოფი ავტომანქანების რეექსპორტზე. თუმცა რეექსპორტის ნუსხა საერთო საექსპორტო საქონლის ჩამონათვალში ამით არ შემოიფარგლება — ავტომანქანების გარდა ამ რეჟიმით ქვეყნიდან ასევე გაგვაქვს მრავალი დასახელების ისეთი საქონელი, რომელიც თავადაც შემოგვაქვს. ისე კი, როცა ქართული პროდუქციის ექსპორტზე გვინდა წარმოდგენის შექმნა, ცხადია, აუცილებელია რეექსპორტის სასაქონლო ჯგუფის ცალკე გამოყოფა.

ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ მნიშვნელოვანი ჰიდროელექტრორესურსების მქონე საქართველო დიდი ოდენობით შემოსავალს უნდა ღებულობდეს **ელექტროენერგიის ექსპორტისგან,** რაზეც, ახალი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სერიოზული გათვლებიც კეთდებოდა. მაგრამ პირველი კვარტალის მონაცემებით, **ელექტროენერგიის ექსპორტის ოდენობამ ექსპორტის მთლიან მოცულობაში მხოლოდ ერთი პროცენტი შეადგინა.** სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოს ისიც, რომ ეს, უმეტესად, ზამთრის პერიოდს ეხება, როცა ელექტროენერგიის უმეტესი ნაწილი ადგილობრივ ბაზარზე მოიხმარება.

როცა ლაპარაკია საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე, უწინარესად ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ჩვენი სავაჭრო პარტნიორების სია საკმაოდ მაღალი სტაბილურობით გამოირჩევა, ახალი ქვეყნები, მით უმეტეს მოწინავე პოზიციებზე, პრაქტიკულად არ ჩნდება. ისევე, როგორც **წლების მანძილზე, საქართველოს უმთავრესი სავაჭრო პარტნიორები თანამეგობრობის ქვეყნებია, საიდანაც, ძირითადად კვების პროდუქტები შემოგვაქვს.** ამ სასაქონლო ჯგუფში სხვებზე მეტად მნიშვნელოვანია **ხორბლის იმპორტი, რომლის მოცულობა მთელი ოდენობის 3 პროცენტს შეადგენს, მაღალია ასევე შაქრის წილიც (1,2 პროცენტი).** სამწუხაროთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ ის ფაქტიც, რომ ისევე, როგორც ეს, ფაქტობრივად, ყველა განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი, მნიშვნელოვანი ადგილი საქართველოს იმპორტში თამბაქოს ნაწარმს უკავია.

არავისთვის უნდა იყოს გასაკვირი, რომ **ქვეყნის იმპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ნავთობპროდუქტები და ელექტროენერგია. ელექტროენერგიის შემოტანას ივნისამდე პერიოდში დაახლოებით 11 მილიონი დოლარი დასჭირდა, რაც დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარით აღემატება მისი ექსპორტისგან მიღებულ შემოსავალს. ამავე პერიოდში, ნავთობპროდუქტების იმპორტმა მთელი საგარეო ვაჭრობის დაახლოებით 10 პროცენტი დაიკავა.**

სხვადასხვა სახეობის სასურსათო თუ საყოფაცხოვრებო და სამრეწველო სასაქონლო ჯგუფების პროდუქციის მთავარი მომწოდებლების სიაში, ისევე როგორც მანამდე, წამყვანი პოზიციები **თურქეთს, უკრაინას, აზერბაიჯანსა და ჩინეთს უკავიათ.**

ასეთ ვითარებაში, აბა რა გასაკვირია, რომ საქართველოს წლეულსაც უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდო აქვს, რადგან შემოტანილი პროდუქციის ღირებულება გატანილისას ბევრად აღემატება.

**ოთარ ტურაბელიძე**



როგორ ვცხოვრობთ?

**ნორმატიული საარსებო მინიმუმის ღირებულება, რომელიც, როგორც ამას საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური განმარტავს, მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნებისთვისაა აუცილებელი, წლის დამდეგიდან დაახლოებით 9 პროცენტით გაძვირდა და წლის პირველ ნახევარში 166 ლარზე მეტს შეადგენს. საქსტატის ანგარიშში ისიცაა აღნიშნული, რომ, შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, ეს ციფრი 29,1 პროცენტითაა გაზრდილი.**

# „გშია? იცეკვე!"

ადამიანის ნორმალური ცხოველმყოფელობისთვის აუცილებელ სახსრებზე საუბრისას არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ცივილიზებული ცხოვრების წესის მქონე ქვეყნის სტატუსზე პრეტენზიის მქონე სახელმწიფოებს შორის საქართველო იმითაცაა „თითით საჩვენებელი", რომ ჩვენში აღნიშნული სახსრები ჯერ კიდევ „განვითარებული სოციალიზმის" დროინდელი „საარსებო მინიმუმით" განისაზღვრება და არა „სამომხმარებლო კალათით", როგორც ეს თანამოქალაქეებზე ზრუნვას შეეფერება. ამ საარსებო მინიუმის გათვალისწინებით კი, საშუალო ოთხკაციანი ოჯახის არსებობისთვის, როგორც ამას ჩვენი სტატისტიკოსები გვატყობინებენ, წლის განვლილ პერიოდში დაახლოებით 280 ლარია საჭირო. საქსტატი არც იმას გვიმალავს, პატივცემულო მკითხველო, რომ საარსებო მინიმუმის ბოლოდროინდელი ზრდა ქვეყანაში ინფლაციის მაღალ დონესა და სასურსათო პრობუქციაზე ფასების მატებას უკავშირდება.

ამდენად, საქსტატის სპეციალისტებს თუ ვენდობით, რომლებიც თავიანთ გათვლებში ბიოლოგების, დიეტოლოგებისა და ამ მიმართულებით ასევე სხვა დარგების ექსპერტთა მონაცემებს ეყრდნობიან, თითო კაცზე, დღესდღეობით არსებული საცალო ვაჭრობის ფასების გათვალისწინებით, თვეში 70 ლარი საკმარისი უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით ერთი ყველასთვის კარგად ცნობილი და ერთიც ნაკლებად გაპიარებული ინფორმაცია მინდა მოვიყვანო: პენსიის ოდენობა ჩვენში 100 ლარია, სხვადასხვა საბიუჯეტო დაწესებულებაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ხელფასები (პრემიებსა და შეღავათებზე აღარ ვლაპარაკობ!) საშუალოდ, **7-10 ათასი ლარი, ხშირად კი ბევრად მეტიცაა, ხოლო უმაღლესი რანგის ხელმძღვანელთა გასამრჯელო კარგა ხანია 100-ათასიან ზღვარს გადასცდა. ზრდასრულმა „შრომისუნარიანმა" კაცმა კი 166 ლარი უნდა იკმაროს, სამოსელიც უნდა იყიდოს, მტერ-მოყვარესაც დახვდეს როგორც წესი და რიგია... თუმცა, უმჯობესია ისევ საარსებო მინიმუმის თემას დავუბრუნდეთ.**

საარსებო მინიმუმი სასურსათო და არასასურსათო პროდუქციის 70/30-ზე პროპორციით განისაზღვრება. ამდენად, გასაგებია, რომ მისი ღირებულების ზრდის ლომის წილი სწორედ სასურსათო პროდუქციის გაძვირებაზე მოდის, თუმცა ამაში, ცხადია, მნიშვნელოვან როლს ასევე ინფლაციის 14-პროცენტიანი ზრდაც ასრულებს. სტატისტიკა ასევე იმასაც მოწმობს, რომ 2011 წლის ნახევრის მანძილზე, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სამომხმარებლო ფასები სასურსათო პროდუქციაზე საშუალოდ 30 პროცენტით მეტია. საშუალოდ მესამედს კი ვამბობთ, მაგრამ, ვთქვათ, ხილის ჯგუფს ცალკე თუ განვიხილავთ, აქ ფასები, ფაქტობრივად გაორმაგებულია (ზრდა 90 პროცენტს აჭარბებს!). რაც შეეხება ბოსტნეულსა და ბალჩეულს, ფასები ამ კულტურებზე 40 პროცენტზე მეტად გაიზარდა, ზეთებისა და ცხიმების ღირებულების მატებამ 35 პროცენტს გადაამეტა, პური და პურპროდუქტები მეოთხედით გაგვიძვირდა, ხორცი და ხორცპროდუქტები კი... თუმცა, ამ საყოველთაო შიმშილში რა დროს მწვადებსა და ხინკალზეა ლაპარაკი?!.

ისე, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს თუ გადავხედავთ, ქვეყანაში ზოგ დადებით ტენდენციასაც შევნიშნავთ. კერძოდ, ლაპარაკია იმაზე, რომ ბოლო დროს ქვეყანაში განათლების მისაღებად გასაწევი ხარჯი, ასევე კავშირგაბმულობის მომსახურება, გაიაფდა, თუმცა, როგორც გვეუბნებიან, „უმნიშვნელოდ" და, საბოლოო ანგარიშით, ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე მათი ზეგავლენა 0,6 პროცენტს ვერ გასცდა.

ყველაფერი დანარჩენის ფასმა კი იმატა და იმატა, თანაც ამ პროცესს დასასრული არ უჩანს...

**ლალი ხუნდაძე**



SIC!

# ჯარიმები იზრდება და კანონიერადაც

**ადმინისტრაციულ** სამართალდარღვევათა განახლებულ კოდექსში სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის ახლებურად ყალიბდება.

პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, გამოიწვევს ჯარიმას 300 ლარის ოდენობით, ადმინისტრაციულ პატიმრობას ან/და მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით.



დღეს მოქმედი ნორმის თანახმად, კი ჯარიმის ოდენობა 200 ლარი იყო.

ამასთან, საკანონმდებლო ინიციატივაში წერია, რომ სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის, გამოიწვევს ჯარიმას 300 ლარის ოდენობით ან/და მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით.

იმ შემთხვევაში კი თუ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, როდესაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირს არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი პირის დაჯარიმებას 350 ლარის ოდენობით ან/და ადმინისტრაციულ პატიმრობას, ხოლო სატრანსპორტო საშუალების მფლობელის (მესაკუთრის) დაჯარიმებას 350 ლარის ოდენობით.

გარადა ამისა, ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, გამოიწვევს ჯარიმას 500 ლარის ოდენობით, ადმინისტრაციულ პატიმრობას ან/და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 2 წლის ვადით.

ხოლო თუ პირს აღნიშნული დარღევის დროს არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, გამოიწვევს ჯარიმას 1000 ლარის ოდენობით ან/და ადმინისტრაციულ პატიმრობას.

ჯი-ეიჩ-ენი

გლობუსი

# სახიფათოა ირანი?

**ირანის თემა საქართველოს საზოგადოებისათვის უცხო არ არის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ორ ქვეყანას შორის უვიზო მიმოსვლას ჩაეყარა საფუძველი. რა არ დაიწერა ირანის შესახებ — უმთავრესად არამართებული. ანტიირანული გამონათქვამების ავტორები — ოპოზიციის წარმომადგენლები და ოპოზიციურად განწყობილი პოლიტოლოგები ირანის აუგად მოხსენიებით პირდაპირ დარტყმას აყენებდნენ საქართველოს ხელისუფლებას.**

უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულებამ მათ ხელისუფლების ლანძღვის ახალი შანსი გაუჩინა, გარდა ამისა ყურადღებას უმახვილებენ ამერიკას — აი თქვენი პარტნიორი საქართველოს ხელისუფლება რას სჩადისო. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, ისევე როგორც ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი პოლიტოლოგია, გაჩენილ შანსს ხელიდან არ უშვებს, რათა თვალი „აუხილოს“ სტრატეგიული პარტნიორს ორპირ სააკაშვილთან დაკავშირებით

ცხადია, ოფიციალურ ვაშინგტონს თვალში არ მოსვლია მის მიერ გამოცხადებულ ნომერ პირველ მტერთან სტრატეგიული პარტნიორის კურკური, რის შესახებაც დაუფარავად განაცხადა. თუ რა უთხრა მან სააკაშვილს კულისებში, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ამით საქართველო-ირანის უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულებას საწინააღმდეგო მიმართულებით ველარაფერი დააბრუნებს.

**ჩემი სუბიექტური აზრით, გაიოლებული სავიზო რეჟიმი ანდა უვიზო მიმოსვლა ქვეყნებს შორის დაახლოების საწინდარია, ამასთანავე ეკონომიკური კავშირების სტიმულატორი, ამ თვალსაზრისით, რეგიონის ქვეყნებიდან, ყურადღებას იმსახურებს ირანიც. თითქმის 80-მილიონიანი სახელმწიფო, განვითარებული მრეწველობით და სოფლის მეურნეობით ჯეროვან ადგილს უნდა იკავებდეს ქართულ ბაზარზე. გარდა ამისა, თუ მეორე მეზობელ თურქეთთან მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობაა, ცხადია გაუქმებული სავიზო რეჟიმის პირობებში, რატომ არ უნდა იყოს მსგავსი რამ ირანთან? ოპოზიციონერთა მოსაზრებით ის, რომ აშშ-ს ეწყინება, არგუმენტი არ არის. საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და მან ამ სტატუსის შესაბამისი ნაბიჯი გადადგა, რითაც ერთხელ, ნაცთა ბატონობის პერიოდში, თვალნათლივ იყო დაფიქსირებული. რაც შეეხება წყენას, თითქმის 15-წლიანი ინტენსიური ურთიერთობისა დროს ამერიკას ბევრჯერ მოუწია საქართველოს განაწყენება, განსაკუთრებით გაყალბებული არჩევნების უმალ გალეგიტიმურებაში. ქართველ ხალხს ბევრი აქვს გასახსენებელი ამერიკელთა არასამართლიან ქმედებასთან დაკავშირებით. ასე რომ, ამერიკის წყენა რა მოსატანია? კიდევ ერთხელ ვამბობ — ირანთან სავიზო რეჟიმის გაუქმება, ხელისუფლების მიერ გადადგმული წარმატებული ნაბიჯია, რაც ბევრს აღიზიანებს.** მაგალითად, პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი ამბობს: „ირანი სახიფათო ქვეყანაა. ირანთან უვიზო რეჟიმის საკითხს თუ დავუმატებთ ჩრდილოეთ კავკასიასთან უვიზო რეჟიმის ცალმხრივად შემოღებასაც, პრაქტიკულად საქართველო ხდება ისლამური სამყაროს მოედანი, სადაც სრულიად თავისუფლად შესაძლებელია საქართველოს იმიჯის და უსაფრთხოებისთვის ფრიად სახიფათო მდგომარეობის შექმნა. ისლამისტებს სხვაგან არ აქვთ ასეთი მოედნების ფუფუნება. ახლა კი ჩაჯდებიან მანქანაში და ნებისმიერ დროს შემოვლენ საქართველოში“. უნებლიედ იბადება კითხვა — უვიზო მიმოსვლა გამოიწვევს ისლამისტების მოზღვავებას? ნუთუ მანამდე არსებული გაიოლებული სავიზო ხელშეკრულება იყო საქართველოში შემოსვლის ბარიერი? ნებისმიერ ირანელს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეს ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეეძლო საქართველოში შემოსასვლელი ვიზის მიღება, შესაბამისი საფასურის გადახდის შემდეგ.

ვიზის გაუქმებიდან პირველი 5 თვის სტატისტიკას თუ შევავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ საგრძნობლად გაიზარდა ირანელი ტურისტების რაოდენობა. მან უკვე მიაღწია 13.000-სს. გამოფხიზლება დაეტყო ბიზნესკავშირებსაც. სულ ახლახან აჭარას ირანელი ბიზნესმენები სტუმრობდნენ სამვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობასთან დაკავშირებით. თბილის-თეირანს და ბათუმ-თეირანს შორის ამოქმედებული რეგულარული საჰაერო მიმოსვლა, თვითმფრინავში შევსებული ადგილები სამომავლო ინტენსიური თანამშრომლობის საწინდარია. თუ ყველაფერი ისეთი ტემპით წარიმართა, როგორც დღეს, აჭარის სანაპიროზე არაერთი ირანული სასტუმრო აშენდება. არც ის არის გამორიცხული, რომ ირანის სამხრეთ-ჩრდილოეთის საავტომობილო მარშრუტს საქართველოც შეუერთდეს. ეს მარშრუტი სპარსეთის ყურეს და აქედან გამომდინარე სამხრეთ აღმოსავლეთ აზიას კასპიის ზღვის და რუსეთის გავლით ევროპას აკავშირებს. უცხოელი სპეციალისტების მიხედვით სამხრეთ-ჩრდილოეთის გზა ყველაზე მოკლე და შეღავათიან გზად ითვლება, რომელიც ზოგავს დროს და ფულს. ქართველ ექსპერტებს საგზაო და სარკინიგზო კომუნიკაციები, განსაკუთრებით რუსეთთან, არ მოსწონს, მაგრამ კარჩაკეტილი ცხოვრება 21-ე საუკუნისთვის მიუღებელია.

დღეს, ხელისუფალთა მხრიდან პერმანენტულ რეჟიმში გვესმის ტურიზმის განვითარების თაობაზე. ტურიზმის გეოგრაფია ფართოა, მაგრამ ტურისტული საქართველოსთვის, მრავალი წლის განმავლობაში პრიორიტეტული იქნება რეგიონული ტურიზმი, მათ შორის ირანული, ვიდრე ევროპული. **განებივრებული ევროპული ტურიზმი ვიდრე ქართულ ბაზარს აითვისებს, დროა საჭირო, თანაც დიდი დრო. მისი კაპრიზების დაკმაყოფილებას დახვეწილი ინფრასტრუქტურა, ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტები, უმაღლესი დონის მომსახურება ესაჭიროება, რაც ჯერჯერობით არ არის საქართველოში. მანამდე კი ქართულ ტურისტულ ბაზარს სომხები, აზერბაიჯანელები, ირანელები ავსებენ, რაც მისასალმებელია.**



ხალხთა თავისუფალ, უვიზო მიმოსვლას შეიძლება თუ არა მოჰყვეს ტერორიზმი? გამორიცხული არაფერია, მაგრამ მგლის შიშით ტყეში არშესვლაც მიუღებელია. ტერორისტების, ჯაშუშების, სხვადასხვა სახის ავანტიურისტების გამოსავლენად და გასანეიტრალებლად სპეცსამსახურების გააქტიურებაა საჭირო და არა რომელიმე სახელმწიფოსთან უმკაცრესი სავიზო რეჟიმის შემოღება.

დავუბრუნდეთ აშშ-ს დამოკიდებულებას ირანთან. პრეზიდენტ ობამას ინაუგურაციის დღეს გაჟღერდა მეტად დამაიმედებელი მოსაზრება — ირანთან პირდაპირი დიალოგის დაწყების თაობაზე. გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯებიც, მაგრამ ირანში, გასულ საპრეზიდენტო არჩევნებში, ოპოზიციის დაპირისპირებამ ხელისუფლებასთან სტიმული მისცა თეთრი სახლის კრიტიკულ გამონათქვამებს ირანის მისამართით, რამაც ისევ დაძაბა ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის. გარდა ამისა, ამერიკას ირანთან ტრადიციად ქცეული დაპირისპირებაც აქვს — ბირთვულ კვლევებთან დაკავშირებით. ვაშინგტონი და მისი მოკავშირე თელ-ავივი თვლის, რომ ირანი ბირთვულ იარაღს ქმნის, რაც სახიფათოა არა მარტო ახლო აღმოსავლეთისთვის, არამედ მსოფლიოსათვისაც. **ქმნის თუ არა ირანი ბირთვულ იარაღს, ჯერაც არ დაუფიქსირებიათ საერთაშორისო ბირთვული კვლევის სააგენტოს დამკვირვებლებს, სხვა ორგანიზაციებს. თვით ირანის ხელისუფლება ცივ უარზეა, ის აცხადებს, რომ მისი მიზანი მშვიდობიანი ატომია. იცის თუ არა ეს აშშ-მა? ცხადია იცის, მაგრამ მისი მიზანი შორს მიმავალია — დაკნინებული, მასზე დამოკიდებული ირანი და არა ბირთვულ კვლევებში გაწაფული, რეგიონის ლიდერი სახელმწიფო, საკუთარი ავტონომიური პოლიტიკით, საკუთარ თავზე დაყრდნობილი, წარმატებული მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით.** სწორედ ამერიკელთა ანტიირანული განწყობა კრავს ხელს ოპოზიციურ პოლიტოლოგიას ანტიირანული გამონათქვამებისაკენ. თუნდაც ისეთის, როგორსაც აკეთებს ექსპერტი ლევან კალანდაძე. „ირანი არის განსაკუთრებული მოვლენა. ეს, არის ქვეყანა, რომელიც კონფრონტაციაშია დასავლეთთან. ირანის შესახებ არაერთი მინიშნება გაკეთდა სხვადასხვა ქვეყნის პოლიტისტებლიშმენტის მიერ. არც ერთი უცხოელი არ გეტყვის, რომ ირანთან ურთიერთობა არ უნდა განავითარო. წესით ჩვენ უნდა მივხვდეთ, ვისთან, როგორი ურთიერთობაა ქვეყნისათვის სასარგებლო. ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ მასთან ურთიერთობაში“.

ირანის საფრთხის შესახებ სულ ახლახან გაიჟღერა დასავლურ მედიაში, რაც უკავშირდებოდა ამ ქვეყნის მიერ საშუალო და შორი რადიუსის რაკეტების გამოცდას. გარდა ამისა, ბევრი დაიწერა ირანის შიდა დაპირისპირების თაობაზე. რა არ ითქვა ამასთან დაკავშირებით, ის, რომ პრეზიდენტი იგნორირებს პარლამენტსა და ქვეყნის უმაღლეს ლიდერს და სხვა. ითქვა იმის თაობაზეც, თუ როგორ მოისყიდა აჰმადინეჟადმა გასულ არჩევნებში ამომრჩეველი.

დასავლური პრესა ისე მოიხსენიებს ირანს, თითქოს ამ ქვეყანაში დიქტატურა მძვინვარებს, არადა ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ 32 წლის განმავლობაში ქვეყანაში ისეთი დახვეწილი პოლიტიკური სისტემა მოქმედებს, ცხადია კონსტიტუციით ზურგგამაგრებული, რომლითაც არათუ რეგიონში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ბევრი ვერ დაიკვეხნის.

**კონსტიტუცია გამორიცხავს დიქტატურის უმნიშვნელო გამოვლინებასაც. არც ქვეყნის მეთაურს, არც პრეზიდენტს და არც პარლამენტს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ვოლუნტარისტულად საკუთარი გადაწყვეტილება თავს მოახვიოს ხალხს. ქვეყნის სახელმწიფო მოხელეები, უმაღლესიდან დაწყებული, უაღრესად მოკრძალებული პირადი ცხოვრებით ცხოვრობენ. მათი საცხოვრებელი, არაფრით გამოირჩევა რიგითი ირანელის საცხოვრისისგან. ხაზგასმით თავშეკავებულად ცხოვრობენ ირანის რაჰბარი აიათოლა ჰამენეი და პრეზიდენტი აჰმადინეჟადი. ხელისუფალთა მიერ დაწესებულ წესს არც მდიდარი ირანელები უხვევენ. მათ ძნელად გამოარჩევთ ჩეულებრივი ირანელისგან. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს ხელისუფლებისადმი ხალხის ფართო მასების ნდობას. აღსანიშნავია ისიც, რომ პრეზიდენტი აჰმედინეჟადის მოღვაწეობის პერიოდში მან დიდი მხარდაჭერა მოიპოვა ირანის საშუალო და დაბალ ფენებში. მისი პრეზიდენტობის დროს გაიზარდა პენსიები, სხვა სოციალური პროგრამები. ირანელის საშუალო პენსია 400 დოლარის ეკვივალენტია. მუშათა ხელფასი აჭარბებს 350 აშშ დოლარს, რაც შეეხება სპეციალისტების: ინჟინრების, ექიმების, პედაგოგების, სხვათა ხელფასი — ათას, ორი ათას აშშ დოლარს აღემატება.** მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ირანში ევროსა და დოლარს ფასი აქვს. იქ ეს ვალუტები გაცილებით დიდი სიმტკიცით გამოირჩევა, ვიდრე ჩვენში.

პრეზიდენტს ედავებიან ამომრჩევლის მოსყიდვაში, რაც ჩვენში სხვაგვარად აღიქმება. რა შეიძლება ეწოდოს ხელისუფლების პრაგმატულ გადაწყვეტილებას — მოსახლეობის მოსყიდვა თუ მისთვის ხელის გამართვა? სახელმწიფო რეგულარულად აწარმოებს გლეხებისგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეძენას, მათ შორის კარტოფილის, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში. დაგროვილი კარტოფილის რაოდენობამ გაცილებით გადააჭარბა მოთხოვნილებას, რამაც მისი გაფუჭების საფრთხე გააჩინა. დასავლეთში მიღებული პრაქტიკაა — მარცვლეულზე ფასების შენარჩუნების მიზნით სახელმწიფო რეზერვში არსებულის განადგურება. ირანის ხელისუფლება სხვა გზას დაადგა — მან იაფ ფასებში მიჰყიდა კარტოფილი მოსახლეობას.

ახლოვდება ირანის საპრეზიდენტო (2012წ) და საპარლამენტო (2013წ) არჩევნები, რაც თავისთავად იწვევს პოლიტიკური ბრძოლის პოლარიზაციას. ამერიკული „ნიუ იორკ ტაიმსის“ მიხედვით, პრეზიდენტი ცდილობს, ხელი შეუწყოს არჩევნებში მისი პროტეჟეს გამარჯვებას. თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიო პრაქტიკას — ამაში უცხო არაფერია. თვით პრეზიდენტს, კონსტიტუციით უფლება არ აქვს ზედიზედ მესამე ვადით იყაროს კენჭი. მას შეუძლია საკუთარი კანდიდატურის დაყენება ერთი საპრეზიდენტო ვადის გამოტოვების შემდეგ. ამერიკული გაზეთი, აშკარად დაინტერესებული ირანის ლიდერთა დაპირისპირებაში იმასაც წერს, რომ თითქოს პრეზიდენტს სურს სასულიერო პირთა ძალაუფლების შეზღუდვა და მათი აქტიური პოზიციიდან პასიურში გადაყვანა. მსგავსი მოსაზრება ან უვიცობას უნდა მიეწეროს, ან სასურველის რეალობად წარმოჩენას.

**ირანის პოლიტიკური სისტემა ნათლად, კონკრეტულად, მყარად არის ჩამოყალიბებული კონსტიტუციაში, რომელიც 32 წელია მინიმალური ცვლილების გარეშე მოქმედებს.**

**ირანის კონსტიტუცია საქართველოს კონსტიტუცია არ არის, თვის განმავლობაში რომ განიცადოს სერიოზული ცვლილებები. არც პრეზიდენტი აჰმადინეჟადია პრაზიდენტი სააკაშვილი, თავს რომ უზომო ვოლუნტარიზმის უფლება მისცეს. და ბოლოს ირანელები ქართველები არ არიან, გადამეტებული ძალაუფლებით რომელიმე ხელმძღვანელი გაანებივრონ. ირანელებში ღრმადაა გამჯდარი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, რასაც, სამწუხაროდ, აქ არ აქვს ადგილი.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი

ინფორმაცია

## ეცადნენ და ინციდენტი მაინც ვერ დამალეს

**საქართველოს შსს-მ ქარელის რაიონის სოფელ კნოლევში მომხდარი ინციდენტი ოფიციალურად დაადასტურა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ს პრესსამსახურში განაცხადეს, ადასტურებენ ინფორმაციას, რომ მათ ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელიც კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე საგუშაგოზე იყო, იარაღი გაუვარდა. შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნული პირი დაკავებულია და ბრალდებულია სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს და 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.**

**კნოლევში სროლის შესახებ, რომლის დროსაც 25 წლის ნინო კობერიძე დაიღუპა, „ინტერპრესნიუსმა“ ინფორმაცია 11 ივლისს გაავრცელა. სოფელ კნოლევის გამგებელმა გია გელაშვილმა მაშინ განაცხადა, რომ სროლები ცხინვალის რაიონის სოფელ ზნაურიდან იყო.გამგებლის ინფორმაციით, სოფელში სროლის ხმა რამდენიმე წუთის განმავლობაში ისმოდა.**

**11 ივლისს გავრცელებულ ინფორმაციას შსს იმ დღესაც გამოეხმაურა. „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, რომ სოფელ კნოლევის მიმართულებით არანაირ სროლებს ადგილი არ ჰქონია.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ცივი ომი კავკასიაში

**რუსეთსა და საქართველოს შორის ხუთდღიანი ომის დროს დაიხოცა 800-ზე მეტი კაცი. ამ ბრძოლებიდან სამი წლის შემდეგ კავკასიაში საკითხი ხელისუფლების შესახებ არ გადაწყვეტილა: აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი არიან ამბოხებული პროვინციები, თუ დამოუკიდებელი სახელმწიფოები?**

ქვეყანა, რომლის გამოც დავობენ ერთმანეთთან მსოფლიოს სახელმწიფოები, თავისი პრეზიდენტის ვებგვერდზე ამაყად მოუწოდებს ტურისტებს: „ნუ ეძებთ სამოთხეს დედამიწაზე. ეს უკვე არის – აფხაზეთში".

შავი ზღვის ნაპირზე მდებარე აფხაზეთის რესპუბლიკა, რომლის ტერიტორიაც შლეზვიგ-გოლშტეინის ფედერალური მიწის ნახევარს შეადგენს, თავისი 220 კილომეტრზე გადაჭიმული სანაპიროთი ყოველწლიურად იზიდავს ასობით ათას ტურისტს, უწინარეს ყოვლისა, რუსეთელებს. სამი წლის წინათ აქ დამთავრდა უკანასკნელი ომი – ხუთდღიანი შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის. სისხლისღვრა დაიწყო მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის 7 აგვისტოს საღამოს გასცა ბრძანება, გაეხსნათ ცეცხლი ნაღმსატყორცნებიდან სამხრეთი ოსეთის ამბოხებული რესპუბლიკის დედაქალაქისკენ და გაგზავნა იქ თავისი ჯარისკაცები. ამ დროს დაიხოცნენ რუსი მშვიდობისმყოფელებიც. მათი ქვედანაყოფები განთავსდა იქ 90-იან წლებში საქართველოს მთავრობის თხოვნით.

რუსეთი თავის სამშვიდობოებზე თავდასხმის შემდეგ ამ კონფლიქტში სამხრეთი ოსეთის მხარეზე დადგა. აფხაზეთშიც, რომელიც სამხრეთი ოსეთის მოკავშირე იყო, მოხდა შეიარაღებული შეტაკებანი ქართულ ჯარებთან. რამდენიმე დღის განმავლობაში ორივე მხარეს დაიღუპა 800 კაცი, ათობით ათასი სამოქალაქო პირი იძულებული იყო დაეტოვებინა შეიარაღებული კონფლიქტის რაიონი. საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის შუამავლობით დადებულმა შეთანხმებამ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, შეწყვიტა ძალადობა, მაგრამ არა თავად კონფლიქტი. ამ მომენტიდან კავკასიაში ცივი ომი მიმდინარეობს. ქართული პროპაგანდა რუსეთის საპასუხო დარტყმის შემდეგ თავის მტერს ხატავდა ყველაზე ბნელ ტონებში.

### პუტინს წარმოგვიჩენენ ახალი ჰიტლერის სახით

საქართველოს დედაქალაქ თბილისში სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოში მოაწყო დემონსტრაცია, რომლის მონაწილეებსაც მოჰქონდათ პლაკატები რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის გამოსახულებით – ულვაშებით ჰიტლერის სტილში და ფიურერის ქუდით. ამას გარდა ახალგაზრდა დემონსტრანტები სასტუმრო „მერიოტის" უცხოელი სტუმრების მისამართით გაიძახოდნენ სიტყვებს, რომელთა აზრიც შემდეგი იყო: რუსეთი ჰიტლერის მაგალითისამებრ მალე შეიყვანს თავის ჯარებს სხვა ქვეყნების ტერიტორიაზეც.

მაგრამ ამ მომენტიდან გასული სამი წლის განმავლობაში არაფერი ამგვარი არ მომხდარა. პირიქით – რუსეთის არმია მცირდება და არ ღებულობს, როგორც ამის შესახებ ამ ცოტა ხნის წინათ პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ტელეკამერების წინაშე განაცხადა, კორუმპირებული სამხედრო მრეწველობიდან სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებულ თავდაცვით სახელმწიფო ტექნიკასაც კი.



ამერიკელებმა არ შეაფასეს რუსეთის ინტერესები ამ რეგიონში

მაგრამ სწორედ ქართველების კავშირმა კავკასიის რეგიონისთვის უცხო პირთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიგვიყვანა გამოყოფილი რესპუბლიკების საბოლოო დაკარგვამდე. მოსკოვში ამერიკის ელჩისთვისაც კი მოულოდნელად რუსეთმა 2008 წლის 26 აგვისტოს გამოაცხადა, რომ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობას და შეუთანხმდა მათ მათს ტერიტორიებზე დაახლოებით 7400 ჯარიკაცის განთავსების შესახებ.

ქართველებმა და ამერიკელებმა ვერ შეაფასეს რუსეთის ინტერესები ორივე ამ რეგიონში, რომელთა მოსახლეობასაც უკვე 2008 წლისთვის ჰქონდათ უპირატესად რუსეთის პასპორტები, ამ რესპუბლიკების ხალხები კი – როგორც ზიარი ჭურჭლის სისტემა – ჩრდილოეთ კავკასიასთან მჭიდროდ დაკავშირებული აღმოჩნდა.

### მოსკოვი აფხაზეთში მხოლოდ პროტექტორატს ხედავს

მაგრამ სიტუაცია აფხაზეთში სხვაგვარია. საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს „ოკუპირებულ რეგიონებს" უწოდებს, ადგილობრივ ხელისუფლებას კი – „მარიონეტულ რეჟიმებს", ვისთანაც არ სურთ აწარმოონ მოლაპარაკება. ამ თვალსაზრისს ღიად უჭერს მხარს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი. ამ დროს ქართველი პოლიტიკოსები და ამერიკელი კურატორები ვერ ამჩნევენ, რომ აფხაზეთის პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნები მოხდა თავისუფალი არჩევნების ვითარებაში და ისინი წარმოადგენენ 200 ათას თავიანთ მოქალაქეებს, თავად არჩევნები კი უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე რუსეთში.

მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი გაზეთები და აქტიური სამოქალაქო საზოგადოება მონაწილეობენ დისკუსიებში, მათ შორის კერძო ტელეარხებზეც. აფხაზი ისტორიკოსები მხურვალედ დავობენ თავიანთ რუს კოლეგებთან და სახელმწიფო დუმის დეპუტატებთან რუსეთის ისტორიული როლის შესახებ კავკასიაში. აფხაზურ ისტორიის წიგნებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებში ეს როლი შეფასებულია უფრო კრიტიკულად, ვიდრე რუსეთში. ამ დროს საკითხი შეეხება აგრეთვე აქტუალურ პოლიტიკასაც: მოსკოვის სახელისუფლო ელიტა, რუსეთის მეფეების ტრადიციების შესაბამისად, აფხაზეთში მეტს ვერაფერს ხედავენ, გარდა პროტექტორატისა.

### ინტეგრაცია თუ საბოლოო გამარჯვება „მონღოლებზე"?

საქართველოს პრეზიდენტის სააკაშვილის ქცევა ეჭვს იწვევს იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ვირტუალური „საინტეგრაციო გეგმები", უწინარეს ყოვლისა, მიმართულია იქითკენ, რომ დაამშვიდოს თავისი დასავლელი დონორები. მაგრამ თავისი სამხედროების წინაშე იგი სრულიად სხვა ენაზე საუბრობს, ვიდრე დასავლელი დიპლომატების წინაშე. თავისი სამხედროებისადმი მიმართულ სიტყვებში იგი რუსებს „მონღოლთა შთამომავლების აგრესიულ ურდოებს" უწოდებს და ლაპარაკობს, როგორც 2008 წლის ომის წინ, „მტერზე საბოლოო გამარჯვების", აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის „საბოლოო გათავისუფლების" შესახებ.

მეზობელ კავკასიელ ხალხთა შორის ამ კონფრონტაციის გამოსავალი შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ მტრობის თანდათანობითი შემცირებით. ამას შეიძლება ხელი შეუწყოს საქართველოსა და აფხაზეთს შორის შეთანხმებამ ძალის გამოუყენებლობის შესახებ, რომელიც შემოგვთავაზა აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა – იგი მაისის ბოლოს გარდაიცვალა. წარმომადგენლობების გაცვლით, აკრედიტებული კორესპონდენტებით, აგრეთვე სავაჭრო ურთიერთობათა დამყარებით შეიძლება ყოფილიყო მიღწეული ურთიერთგაგების განმტკიცება.

ევროკავშირს, რომელიც კვლავ უარს ეუბნება აფხაზებს ვიზების გაცემაზე, აქვს შესაძლებლობა გახსნას აფხაზეთში საინფორმაციო ბიურო, როგორც ეს ადრე გაკეთდა ჩრდილოეთი კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკაში, რომელსაც მხოლოდ თურქეთი აღიარებს. ევროკავშირის ქვეყნებს შეეძლოთ მიეცათ აფხაზებისთვის მოგზაურობის საშუალება თავიანთი პასპორტებით, რაც დიდმა ბრიტანეთმა და შეერთებულმა შტატებმა უკვე დიდი ხანია გააკეთეს ჩრდილოეთი კვიპროსის მცხოვრებლებთან დაკავშირებით.

SPIEGEL

# საქართველოში დემოკრატიის სტაგნაცია ხელისუფლების კანონიერებას ემუქრება

**2003 წლის ვარდების რევოლუციის მომენტიდან საქართველო დაჟინებით ცდილობს შეიქმნას განვითარებული ბაზრისა და ინვესტორის ოცნების, აგრეთვე სამხრეთ კავკასიაში დასავლური კულტურის ერთადერთი ბასტიონის იმიჯი. მაგრამ ქვეყანა კარგავს ნდობას პოლიტიკური სურვილის მუდმივი უქონლობის გამო ნამდვილი ლიბერალური დემოკრატიის გზისკენ. როდესაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უბიძგებს ქართულ დემოკრატიულ განვითარებას გაიყინოს ერთ ადგილზე, ამით იგი ეწევა რისკს ზიანი მიაყენოს ქვეყნის ხელისუფლების კანონიერებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო პარტნიორებთან.**

როდესაც საქართველოს ოპოზიციური ლიდერი და სააკაშვილის ყოფილი თანამებრძოლი ნინო ბურჯანაძე თავისი მომხრეებით მაისში გამოვიდა თბილისის ქუჩებში, პროტესტის მონაწილეთა რიტორიკა აღსავსე იყო იმგვარი სიტყვებით, რამაც გამოიწვია საზოგადოებრივი პროტესტის ტალღა და რამაც არაბულ სამყაროში რამდენიმე ავტორიტარული მთავრობის დამხობა გამოიწვია.

მაისის პროტესტები არ გადაიზარდა რევოლუციაში, ისინი არ გადაიზარდნენ დიდ გაქანებაში, მაგრამ გადაიზარდნენ დრამაში. 26 მაისს პროტესტის მომხრეთა ჯიუტმა ჯგუფმა უარი განაცხადა დაეტოვებინა მოედანი საქართველოს პარლამენტის შენობის წინ მას შემდეგ, როცა მიტინგის დრო დასასრულს მიუახლოვდა და რამაც გამოიწვია პოლიციის მიერ მიტინგის დაშლა, ათობით კაცის დაჭრა და ორი ადამიანის დაღუპვა. იმ დროს, როდესაც საერთაშორისო წარმომადგენლები და საერთაშორისო სამართალდაცვის ჯგუფები გმობდნენ პოლიციის მოქმედებას როგორც არაპროპორციულს, საქართველოს მთავრობა ებრძოდა პროტესტის მონაწილეებს, უწოდებდა მათ კრემლის „მეხუთე კოლონას".

ბურჯანაძის აშკარად პრორუსული პოზიცია, აგრეთვე პოლიტიკური ოპორტუნიზმის კარიერა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მთავრობის ბრალდებაში არის სიმართლის ნაწილი. მაგრამ ოპოზიციის მოქმედების შეზღუდვა მთავრობის მხრიდან აძლიერებს შთაბეჭდილებას, რომ საქართველოს მმართველ ელიტას არ აქვს განზრახული, აშენოს ნამდვილი დემოკრატიული სისტემა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს თავისუფლების მაჩვენებლები წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, პოლიტიკური თავისუფლების მაჩვენებელი უარესია, ვიდრე ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის უკანასკნელი ქურდული რეჟიმის დღეებში.

იმ დროს, როდესაც არის ერთი პარტიის ყველგან არსებული მმართველობა, ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ძლიერი შეზღუდვა და მუდმივი საუბარი ხელისუფლების კორუფციის შესახებ, ძნელად რომ განმეორდეს ეგვიპტური სცენარი საქართველოში უახლოეს პერიოდში. ასე თუ ისე, თბილისის ავტორიტარულმა რეჟიმმა შეიძლება ზიანი მიაყენოს ურთიერთობას დასავლეთთან.

ავღანეთში არის დაახლოებით ათასი ქართველი სამხედრო და სავსებით შესაძლებელია, რომ თბილისი 2012 წელს გაგზავნის კიდევ რამდენიმე ათას კაცს, რაც საქართველოს გადააქცევს ქვეყნად, რომელმაც ყველაზე მეტად შეუწყო ხელი ოპერაციას იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც არ არიან ნატოს წევრები.

დემოკრატიის შესახებ საუბრების ეს შემობრუნება უფრო რეალური თანამშრომლობისკენ უშიშროების დარგში მეტყველებს თბილისის უფრო პერსპექტიულ შეხედულებაზე, მაგრამ მიუთითებს აგრეთვე ერთგვარ დაშორებაზეც წარსული დემოკრატიული დღის წესრიგისგან.

ამ დროს, 2012 წლის პარლამენტისა და 2013 წლის პრეზიდენტის არჩევნების წინა პერიოდში დასავლეთის ლიდერების აზრი იმის შესახებ, რომ საქართველო ეფლობა ავტორიტარიზმში, შეიძლება კიდევ უფრო განმტკიცდეს. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, რომელმაც ბევრი რესურსი და დიპლომატიური კაპიტალი დახარჯა საქართველოს განვითარებისთვის, ნახევრად ავტორიტარული, თუნდაც ნაწილობრივ ლიბერალური საქართველოს სახელმწიფო სასურველი აღარ არის.

გასაგებია, რომ არც ამერიკის შეერთებული შტატები, არც ევროპა მთლიანად არ გავლენ საქართველოდან მეტი არასტაბილურობის შიშით, მაგრამ ქართული ეკონომიკის მდგომარეობა და გარდუვალი სავალო ვალდებულებანი უახლოესი წლებისთვის, დასავლეთს აძლევს ერთგვარ ველს მანევრებისთვის.

ასე თუ ისე, საქართველო დემოკრატიული განვითარება დღევანდელი ხელისუფლების დროს ძნელად რომ წაიწიოს წინ, თუ არ მოხდება დიდი ცვლილებები. მაგრამ თუ ვაშინგტონი და ევროკავშირი მართლაც დაინტერესებული არიან, რომ განაახლონ რეფორმები საქართველოში, ისინი უნდა ცდილობდნენ გაავრცელონ თავიანთი გავლენა მანამ, სანამ სხვა ზემოქმედების უფრო ძლიერი ევროატლანტიკური გზები არ გახდება ხელმისაწვდომი.

WPR World Politics Review

## დედამიწის ზურგზე




### უცნობმა ბრიტანელმა ლატარეაში მოიგო რეკორდული 185 მილიონი ევრო

იღბლიანი კაცის პიროვნება, რომელმაც მოიგო კომბინაცია ხუთი ძირითადი და ორი დამატებითი ციფრით, ჯერჯერობით დადგენილი არ არის. მაგრამ ლატარეა „ეურომილიონსის" ოფისში მას უკვე ელოდებიან ცივი შამპანურის ბოთლით და წინადადებით გახდეს მილიონერთა კლუბის წევრი.

### აშშ-ს დაზვერვა: კადაფის უთავდება საწვავი ჯარებისა და მოსახლეობისთვის, აგრეთვე ფული ჯარისკაცებისთვის



დაზვერვის ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ სულ უფრო მეტი მონაცემები შემოდის იმის შესახებ, რომ ლიბიელი მეამბოხეები მალე მოახერხებენ ჩიხური სიტუაციიდან გამოსვლას, რაც შეიქმნა მხარეთა სამი თვის დაპირისპირების პერიოდში. მთავარი საკითხია – უარს იტყვის თუ არა კადაფი ხელისუფლებაზე. ამის შესახებ ერთი მეორის საპირისპირო ცნობები შემოდის.

### პრემია „კვადრიგის" ჟიურიში ჩაღდება სკანდალი პუტინის, როგორც ლაურეატის, კანდიდატურასთან დაკავშირებით



მაგალითად, „მწვანეთა" გერმანული პარტიის თანათავმჯდომარე ჯემ ოზდენირი კანდიდატის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გამოვიდა პრემიის მზრუნველთა შემადგენლობიდან. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულმა ადამიანის უფლებებში მარკუს ლენინგმა პუტინისთვის პრემია „კვადრიგის" მინიჭებას ცინიკური საქციელი უწოდა. გაოცება გამოთქვა ერთ-ერთმა სხვა სპონსორმაც.

### კუნძულ იავაზე სატვირთო მანქანა სახლს დაეჯახა – დაიღუპა 15 კაცი, ათობით დაჭრილია

ავტოკატასტროფა მოხდა იმ დროს, როდესაც ერთ-ერთი ინდონეზიური სოფლის მცხოვრებლები აღნიშნავდნენ რელიგიურ დღესასწაულს. წინასწარი მონაცემებით, სატვირთო მანქანას გამოეთიშა მუხრუჭი.



ნაშრომი

# ქართული ეთნოლოგიური სკოლის მნიშვნელოვანი მიღწევა

**თანამედროვე მეცნიერებაში, დროის მოთხოვნის შესაბამისად, სხვადასხვა ახალი დისციპლინა ყალიბდება, რაც ერთი მხრივ, უკავშირდება მეცნიერების კომპეტენციის სფეროს გაფართოებასა და განვითარებას, მეორე მხრივ, მისი პრაქტიკული დანიშნულების ზრდას. გამონაკლისი არც ეთნოლოგიაა. ახალი ამოცანები საჭიროებს ეთნოლოგიური კვლევის შედეგების საქმიან დაკავშირებას ჩვენი საზოგადოების დღევანდელ განვითარებასთან.**

ფაქტიურად ჩვენს თვალწინ ჩამოყალიბდა ახალი მიმდინარეობა დარგში – კონფლიქტოლოგია. მისი კვლევის არეში მოექცა XX ს. ბოლოს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, წინასაკონფლიქტო სიტუაციები, ეთნოჯგუფები, რამაც გაზარდა მეცნიერების მნიშვნელობა სწორი ეთნოპოლიტიკის შემუშავების საქმეში.

წლეულს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გამოიცა ნაშრომი **„სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში“**. იგი ეძღვნება ქვემო ქართლის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების თანამედროვე მდგომარეობას. ამ ნაშრომით ერთხელ კიდევ წარმოჩინდა ეთნოლოგიის როლი ქვეყნისათვის აქტუალური საკითხების გადაჭრაში, მისი პროგნოზირებადი ხასიათი და პრაქტიკული ღირებულება.

პროექტის ავტორი, მეცნიერ-ხელმძღვანელი და რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წ/კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ეთნოლოგი **ლია მელიქიშვილი,** უდავოა მისი დამსახურება და ღვაწლი, ამ მიმართულებით წარმოებულ კვლევა-ძიებაში. იგი ეხმაურება დემოკრატიზაციისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესების განვითარებას საქართველოში.

ლ. მელიქიშვილმა არა მარტო საფუძველი ჩაუყარა ეთნოპოლიტიკური პრობლემების წამოწევას ეთნოლოგიის პრობლემატიკაში, არამედ მისი მასშტაბებისა და პრაქტიკული დანიშნულების გამოვლენას. იგი ერთი რეგიონის კონკრეტული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე გვთავაზობს მოქმედების პროგრამას, რომელიც ზოგადი ხასიათისაა და გამოიყენება საქართველოს სხვა პოლიეთნიკური რეგიონის შესასწავლადაც. ამ პროექტით ბოლო ათწლეულში შესწავლილი იქნა „დუხობორია“ – ჯავახეთში, პანკისი და ქვემო ქართლი.

ზოგადი, რაც სამივე რეგიონის შესწავლას ახასიათებს, არის ერთგვაროვან ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოში მოხვედრილი განსხვავებული კულტურის მატარებელი ეთნიკური ჯგუფების ტრადიციული კულტურების ფესვების ძიება, რაც ითვალისწინებს ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფების ყოფითი თავისებურებების, სახასიათო ინდივიდუალური ნიშნების, ეთნოფსიქოლოგიის და უფლებრივი მდგომარეობის შესწავლას თანამედროვეობაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე. ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას იძლევა მოხდეს რეგიონის ეროვნებათშორისი ურთიერთობის ანალიზი, დადგინდეს ურთიერთდამოკიდებულების გამომწვევი ფორმები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ლ. მელიქიშვილმა, როგორც პროფესიონალმა მკვლევარ-ეთნოლოგმა, პირველად მეცნიერებაში, შესანიშნავად გამოიყენა ახალი საველე ეთნოგრაფიული მასალა, კონფლიქტურ სიტუაციებში ეთნიკურ-კულტურული ღირებულების კვლევისას. კერძოდ, კულტურის ისეთი ელემენტებისა, რომელიც თავს იჩენს წინასაკონფლიქტო სიტუაციებში: რელიგია, განათლება, ნათესაური ურთიერთობები, ზნეობრივი ფასეულობები, ეკონომიკური მდგომარეობა, მმართველობითი სისტემა, ყოფითი პრობლემები, და ა. შ. ბუნებრივია მუშაობის სირთულე „კონფლიქტურ ველზე“, სადაც ჭარბობს უარყოფითი მახასიათებლების სიხშირე. სწორედ აქ გამოვლინდა მკვლევარის სწორი პოზიცია, საველე სამუშაოების წარმართვის სტრატეგია და ტაქტიკა. უპირველესად ეს ეხება ექსპედიციის ორგანიზების საკითხს: იგი დაკომპლექტდა ძირითადად მეცნიერი ქალებით. უნდა აღინიშნოს, რომ „ქალის ფენომენმა“ შესანიშნავად იმუშავა დაძაბულ სიტუაციებში, როდესაც ურთიერთდაპირისპირებულ ჯგუფებთან საჭირო ხდებოდა სიტუაციის დამორჩილება და გაუცხოებული მოსახლეობის ნდობის მოპოვება.

ლ. მელიქიშვილის დამსახურებაა კვლევაში ღირებულების, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტის ჩართვა. ასევე იდენტობის, ქსენოფობიის, ტოლერანტობის და სხვა მახასიათებლების ეთნოლოგიური ასპექტით კვლევა, რასაც გვერდს ვერ აუვლის ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარი. ის კვლევას დამაჯერებელს ხდის იმითაც, რომ ეთნოლოგიურ მასალას ამაგრებს სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური ლიტერატურის მონაცემებზე დაყრდნობით

სამეცნიერო კვლევის ამ მიმართულებით წარმართვამ გაამართლა. ლია მელიქიშვილის პროექტით შესრულებული ნაშრომები, ნათელს ხდის ფარული კონფლიქტის ჩასახვისა და განვითარების პროცესების წარმოშობის მიზეზებს, სოციალური განწყობის რეალურ ვითარებას, მეორე მხრივ, იძლევა რეგიონების ეროვნებათშორისი ურთიერთობის ანალიზს, მისი გამწვავების მიზეზებს. მათი გლობალური ანალიზი და ინტერპრეტაცია კვლევის მეთოდოლოგიურ სიახლეებზე მიგვითითებს და ახალ პერსპექტივებს ქმნის აღნიშნული პრობლემის განვითარების თვალსაზრისით.

ამავე დროს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეთნოკონფლიქტების პრობლემა გასულ საუკუნეში ტაბუირებული იყო საბჭოთა იდეოლოგიის მიერ, რაც ეთნოლოგთა პირველ თაობაში ფარულ პროტესტს იწვევდა. ეს გამოვლინდა დარგის მამამთავრის, აკად. გ. ჩიტაიას პირადი დღიურების გამოქვეყნების შემდეგ, სადაც წერს: ალბათ დადგება დრო, როცა მეცნიერება შესძლებს სწორად აღნუსხოს ფაქტები. ეს დროც დადგა, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიულმა განვითარებამ გზა გაუხსნა მეცნიერული აზრის დაუფარავ, სწორ რეალიზაციას. ეს ლია მელიქიშვილის მიერ განხორციელებული პროექტის შედეგად იქნა მიღწეული, რაც ქართული ეთნოლოგიური სკოლის მნიშვნელოვანი მიღწევა და მონაპოვარია, ამ სკოლის კიდევ ერთი დიდი წარმატება.

**თამილა ცაგარეიშვილი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეთნოლოგი.**

სვანების სატკივარი

# ტრადიციული ფლობა – კანონმდებლობით დაურეგულირებელი საკითხი და შერჩევითი სამართალი

## „ეს მიწა ჩვენი ნაყიდი არ არის... მამა-პაპურია“

**„ორი საუკუნეა მიწას ვფლობ და მე თუ არა ვარ მართლზომიერი მფლობელი, თემურ ჭყონია, რომელიც სასტუმროს მიშენებს ამ მიწაზე, მართლზომიერი მფლობელია“?! – თითქმის ცრემლმორეული და სისხლგამშრალი ამბობს სვანეთის მკვიდრი ალექსანდრე ჯაფარიძე... ამ ულამაზეს მხარეში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ახირებულ სურვილს უამრავი ადგილობრივის ინტერესები ეწირება. სახელმწიფო უგულებელყოფს ყველაფერს, რაც მისთვის მიუღებელია, არ არსებობს არც საკუთრების უფლება, არც რეგისტრაციის უფლება, არც ტრადიციული საკუთრება, სამართალიც შერჩევითია.**

ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ერთობლივი მონიტორინგი ჩაატარა დაბა მესტიაში საკუთრების უფლების დაცვის პრობლემაზე, რომლის პრეზენტაცია გუშინ გაიმართა. „მწვანე ალტერნატივამ“, „საიამ“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ და „რეგიონულმა მედია ასოციაციამ“ საფუძვლიანი კვლევის საფუძველზე ანგარიშთან ერთად რეკომენდაციებიც წარმოადგინეს.

სანამ საკუთრების დაცვის ნაწილს შევეხებოდეთ, უნდა ითქვას, რომ სვანები აბსოლუტურად აკმაყოფილებენ აზორიგენი მოსახლეობის გაეროს სტანდარტებს. მართალია, თავად სვანები ამ მიმართულებით დიდ ინტერესს არ იჩენენ, რასაც თან ერთვის ჩვენი სახელმწიფოს ზოგადეთნიკური სირთულეებიც, თუმცა ეს აღიარება მათ ბევრ თავსატეხს მოუხსნიდა.

უნდა ითქვას, რომ ბევრისთვის მოსაწონი, ეგზოტიკური, ხოლო ბევრისთვის „ველური“, „არაცივილური“ სოციალური კულტურული იდენტობის შენარჩუნება სვანებს გამუდმებით უწევდათ. კომუნისტურ პერიოდში მათ საკუთრების უფლება ჩამოართვეს და ის, რაც წინაპრებისგან ერგოთ, კოლექტიურ საკუთრებად იქცა. თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, წართმეული მიწები სვანებმა სრულიად უმტკივნეულოდ და კონფლიქტების გარეშე დაიბრუნეს, იმის მიუხედავად, რომ საკუთრების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაცია უმრავლესობას არ გააჩნდა. არსებული მიწის რესურსები ოჯახებს შორის გადანაწილდა და მას შემდეგ საკუთრების უფლება მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე, რასაც თანამედროვე ენით – ტრადიციული ფლობა ჰქვია.

ადგილობრივების შემოსავლის ძირითად წყაროს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა წარმოადგენს, ამ დროს კი სვანეთი მცირემიწიანია, მისი საერთო ფართობის მხოლოდ 7 პროცენტია სასოფლო დანიშნულების.

ამ დროს რევოლუციურმა მთავრობამ ისე დაიწყო იქ ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის ხელშეწყობა, რომ დღემდე არ არსებობს ამის შესახებ ოფიციალური გეგმა, სახელმწიფოს სტრატეგია, არ ხდება ეკოსისტემის შესწავლა, არქიტექტურის, კულტურის საფუძვლიანი კვლევა და ახალი პროექტების მათთვის მისადაგება. ამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა (აეროპორტი, სათხილამურო ტრასა, საბაგირო, სასტუმროები) ისე დაიწყო, რომ ადგილობრივებს ამ ტერიტორიაზე ტრადიციულ ფლობაში არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში რეგისტრაციის უფლება არ მიეცათ. მაგალითად, ჰაწვალის სათხილამურო კომპლექსის მშენებლობის შემდეგ 20 ოჯახი დაზარალდა, რომლებიც მიწას ვერ ირეგისტრირებენ, შესაბამისად, არც საკომპენსაციო თანხის გაცემა იგეგმება.

2008 წლამდე მესტიის მუნიციპალიტეტის დაახლოებით 15-ათასიანი მოსახლეობიდან პრაქტიკულად არავის ჰქონდა მიწის ნაკვეთი საკუთრებაში რეგისტრირებული. თუმცა რაც ამ პროცესმა ინტენსიური სახე მიიღო განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა ტრადიციულ ფლობაში არსებულის მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია, რაც დაახლოებით მესტიის რაიონის 80 პროცენტს მოიცავს. საქმე ისაა, რომ კანონმდებლობით შემოთავაზებული საკუთრების უფლების ლეგალიზების ორი საფუძვლიდან – „თვითნებური დაკავება“ და „მართლზომიერი ფლობა“ – მესტიაში გავრცელებულ „ტრადიციულ საკუთრებას“ არც ერთი არ ესადაგება. თუმცა არსებობს მიწის ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები, რაზეც ადგილობრივებს მოეპოვებათ ძველი, მაგრამ იმ დროს იურიდიული ძალის მქონე საბუთები, რაც შეიძლება საფუძველი იყოს მართლზომიერად ფლობის უფლებისა.



**მაგრამ უეცრად, 2009 წლიდან მესტიის საჯარო რეესტრის სამსახურში ჩნდება ტერმინი „წყლის გაღმა ტერიტორია“, სადაც აბსოლუტურად შეუძლებელია რეგისტრაცია. წყლის გაღმა ტერიტორია, ეს არის მხარე, სადაც მდებარეობს სოფელი ჰაწვალი და სადაც აშენდა ახალი სათხილამურო ტრასა. თუ მიწის ნაკვეთი აქ მდებარეობს, მისი საკუთრებაში რეგისტრაცია, ან სხვა სახის ცვლილების რეგისტრაცია შეუძლებელია. რამდენიმე საქმე სასამართლოში შევიდა, თუმცა ყველა უშედეგოდ დამთავრდა. დაბა მესტიაში დაწყებულ სამშენებლო ბუმს შეწირული მსხვერპლი ახლად აშენებული აეროპორტის ტერიტორიაზე მდებარე მესტიელების მიწის ნაკვეთები აღმოჩნდა. 31 ტრადიციული მფლობელის ინტერესები არავინ გაითვალისწინა. თუმცა იყო გამონაკლისი: თავად სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის მოადგილის მეუღლის, დავით ფალიანის მიწის ნაკვეთი, რომელიც მან ადვილად დაირეგისტრირა და კომპენსაციაც მიიღო. ხოლო მოქალაქე ეთერ ხაფთანი, რომელსაც ჰქონდა მიწის რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი, დღემდე იბრძვის ნაკვეთის დასაბრუნებლად. ანუ სვანეთში შერჩევითი სამართალი საკმაოდ ფეხმოკიდებული პრობლემაა.**

ჰაწვალის სათხილამურო კომპლექსის მშვენებად მიიჩნევა საბაგირო გზასთან ახლოს მდებარე სასტუმრო „ჰაწვალი“. მიწას, რომელზეც სასტუმრო აშენდა მშენებლობის დაწყებამდე ფლობდა სამი ადგილობრივი მკვიდრი, მაგრამ საბუთების მიუხედავად მაინც უარი უთხრეს საკუთრების რეგისტრაციაზე. ასე აღმოჩნდა მიწა სასტუმროს მესაკუთრის – პარლამენტის წევრის კანდიდ კვიციანის შვილის ხელში. თუმცა აკაკი კვიციანს სასამართლოში უჩივლეს და მიწის სამივე მფლობელმა დაირეგისტრირა მიწა, სასამართლომ მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა კი – მესაკუთრეს მიაკუთვნა, რაც ქართული კანონმდებლობის კიდევ ერთი საინტერესო პარადოქსია.

ამის შემდეგ ძალიან გულუბრყვილოდ გამოიყურება კითხვა – არაკომპეტენტურობა თუ პოლიტიკური დაკვეთა?

არასამთავრობო ორგანიზაციები დაზარალებულებს სამართლებრივ დახმარებას ჰპირდებიან, თუმცა არც თუ დიდი იმედით. რაც შეეხება ტრადიციულ ფლობას, ეს არ არის მხოლოდ სვანეთისთვის დამახასიათებელი. მაგალითად, ბანკები – საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები იცნობენ ამ ტერმინს და როცა მატერიალურ კომპენსაციაზეა საუბარი, ისინი ამ მიწებს მეპატრონეს საკუთრებად აღიარებენ. სულაც არ არის საჭირო ოფიციალური დოკუმენტაცია, საკმარისია, რამდენიმე მეზობლის დასტური იმისა, რომ მესაკუთრე 10 წელზე მეტია ამ მიწით სარგებლობს. სხვათა შორის საქართველოს რამდენიმე რეგიონში, სადაც ასეთი ინსტიტუტების დაფინანსებული პროექტები განხორციელდა, კომპენსაციებიც გაიცა... მაგრამ, იქ სადაც საქმე ეხება სახელმწიფოს და არა უცხოელ ინვესტორს, ვითარება გაცილებით ცუდია. ყველა დაკვირვებას იქამდე მივყავართ, რომ ეს არ არის ტრადიციული ჩამორთმევის პროცესი, რომელიც ხანდახან აუცილებელია საზოგადოებრივ-სოციალური პროექტების განსახორციელებლად, არამედ ეს არის ტიპიური წართმევა, წაგლეჯა, ტერორი...

მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციებში ნათქვამია, რომ უნდა გადაისინჯოს მესტიის სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომელთა კომპეტენტურობისა და მათი მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება. მაღალმთიან რეგიონებში გამარტივდეს მიწის ნაკვეთის საკუთრებაში რეგისტრაციისთვის კანონმდებლობით დადგენილი წარსადგენი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების ნუსხა და რაც მთავარია, ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ტურიზმის განვითარების პოლიტიკა.

**ტურიზმმა მართლაც შეიძლება წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, კონკრეტული რეგიონების დადებითად ტრანსფორმაციაში, მაგრამ ამასთანავე გაცნობიერებული უნდა იყოს ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი შედეგები. მას არ უნდა ეწირებოდეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. რაც ყველაზე საგულისხმოა, სვანეთში ზოგიერთ ადგილობრივს თუნდაც კომპენსაციის მიღება ნაკლებად აინტერესებს. ის ვერანაირად ვერ აუნაზღაურებს იმ დანაკარგს, რაც მიწის ჩამორთმევას მოჰყვება „ეს მიწა ჩვენი ნაყიდი არ არის... მამა-პაპურია... გვინდა, დავიტოვოთ“, – აცხადებენ უსამართლობით შეძრწუნებული სვანები.**

**თეა მოსია**

მშვილდოსნები სამართალს ეძებენ

# გაგრძელება იქნება



**იტალია მაფიის სამშობლოა, მაფია უკვდავია — ვინ მოთვლის, რამდენჯერ გვსმენია.**

**ეს რომ ასეა, ამ დღეებში ტურინში დასრულებული მშვილდოსან ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის სკანდალური პერიპეტიები ადასტურებს, სადაც მასპინძლებმა სააპელაციო კომისიის წევრთა დახმარებით საქართველოს ნაკრებს ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები თვალსა და ხელსშუაააწაპნეს.**

აღნიშნული ფაქტის სპორტულ მხარეზე უკვე გაუწყეთ, ამიტომ ამჯერად სამართლიანობის აღდგენის იმ შესაძლო გზებზე მოგითხრობთ, რომელიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მოწვეულ პრესკონფერენციაზე პასუხისმგებელმა პირებმა გაგვანდეს.

**გია ნაცვლიშვილი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი:** აბსოლუტურად ყველა ქვეყნის ფედერაციათა თავკაცებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ სასტიკად დავიჩაგრეთ. იგივე პოზიცია აქვს მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის თურქ პრეზიდენტ ერდოგანსაც. იგი ძალიან შეწუხებული იყო და დაგვპირდა, სამართლიანობის გასამართლებლად თქვენთან ერთად ვიბრძოლებო“.

**მამუკა ქაცარავა, საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი:** საერთაშორისო ფედერაციასთან ვიწყებთ მოლაპარაკებას, სადაც პირველ შესაძლო ვარიანტად შევთავაზებთ, რომ იმ სამი დარჩენილი გუნდური ლიცენზიიდან, რომლებიც ამერიკულ გრან-პრიზე უნდა გათამაშდეს, მხოლოდ ორი გაათამაშონ, მესამე კი პირდაპირ ჩვენ გადმოგვცენ.

არის მეორე ვარიანტიც — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისთვის ერთობლივად მიმართვა, რათა მან ინდივიდუალური კვოტის შემცირების ხარჯზე გუნდური ცამეტამდე გაზარდოს და იგი საქართველოსთვის გაიმეტოს.

თუ ამ გზებით სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ, მაშინ ლოზანის სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოს მივმართავთ. დამერწმუნეთ, საკმარისზე მეტი მტკიცებულებები გვიმაგრებს ზურგს. თუნდაც სააპელაციო კომისიის დასკვნა ავილოთ, რომელსაც არც თარიღი აწერია და არც სამსაჯო კომიტეტის წარმომადგენელთა ხელმოწერა ამყარებს. სიჩქარეში დაშვებული ამ უსუსური შეცდომების ფონზე, სამაგიეროდ, ყველა წესის დაცვითაა შესრულებული ოქმი, რომელიც მერვედფინალში ჩვენს მიერ იტალიელთა ძლევას ადასტურებს. ასე რომ, სიმართლე ჩვენს მხარესაა და ეს საქმე აუცილებლად ობიექტურად დასრულდება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# ღირსება შეინარჩუნეს

**არგენტინამ და ურუგვაიმ იმდენი „იხტუნავეს“, რომ კოპა ამერიკის მეოთხედფინალში შეხვდებიან ერთმანეთს. მასპინძელთა მიერ „ა“ ჯგუფში ძლევამოსილად (3:0 კოსტა-რიკასთანძ გადატანილი უკანასკნელი ბრძოლის შესახებ ჩვენი მკითხველი უკვე ინფორმირებულია, ამიტომ, მოდით, ამჯერად მათ მომავალ მეტოქეთა დასკვნით მატჩზე შევჩერდეთ.**



თუ შარშანდელი „მუნდიალის“ მეოთხეადგილოსანი ტურნირზე ახალგაზრდული შემადგენლობით ჩასულ მექსიკასთან ფრედ დაამთავრებდა თამაშს, „ბ“ ჯგუფში მესამე ადგილს დაიკავებდა და ასპარეზობის დებულების თანახმად, ამბიციურ მასპინძლებთან ასეთ ადრეულ ეტაპზე ჯახს აიცილებდა თავიდან, მაგრამ...

ოსკარ ტაბარესის შეგირდები პირველივე წუთებიდან დასახლდნენ აცტეკთა შთამომავლების მინდვრის ნახევარზე, მალევე დაწინაურდნენ — 1:0 (პერესი, მე-14 წუთიძ და უპრობლემოდ მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე, რითაც ღირსება შეინარჩუნეს. სხვათა შორის, ბოლო წუთებზე მარკესმა საპასუხო გოლის გატანა მოახერხა, მაგრამ ბოლივიელ მსაჯთა ბრიგადამ ამ ეპიზოდში თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა და ანგარიში უცვლელი დარჩა.

**ჩილე — პერუ — 1:0.**

**საბოლოო მდგომარეობა:** ჩილე — 7, ურუგვაი — 5, პერუ — 4, მექსიკა — 0 ქულა.

**გიორგი შოთაძე**

ჩოგბურთი

# მზითევის „დანამატი“

**რუსეთელმა ჩოგბურთელმა მარია შარაპოვამ, მართალია, უიმბლდონის ტურნირის ფინალი ჩეხ პეტრა კვიტოვასთან დათმო, მაგრამ, დაგვეთანხმებით, საპრიზო 550 ათასი გირვანქა სტერლინგი არც თუ ცუდი ნუგეშია...**



შარაპოვა კვიტოვაზე სულ სამი წლითაა უფროსი, მაგრამ სატურნირო გამოცდილება მასზე შეუდარებლად დიდი აქვს. მიუხედავად ამისა, უპირატესობის რეალიზება რუსეთელმა სპორტსმენმა მაინც ვერ შეძლო, რადგან, კომენტატორების ენით რომ ვთქვათ, „საკუთარი თამაშის დაჭერა“ ვერ შეძლო. მოწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები მას ჯერ კიდევ ნახევარფინალში საბინა ლისიცკისთან შეხვედრის დროს დაეწყო, როცა მარიამ 13 ორმაგი შეცდომა დაუშვა. თუმცა, როგორც ჩანს, გერმანელ ქალიშვილს თავადაც მუხლები უკანკალებდა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელთან თამაშისას, ამიტომაც ამ საჩუქრით ვერ ისარგებლა.

რუსეთელმა ლამაზმანმა თამაშის ამ ხარვეზის გამოსწორება ვერც ფინალურ შეხვედრაში შეძლო, რის შედეგად ტურნირის „გამარჯვებული“ მაინც გახდა, ოღონდ... ორმაგი შეცდომების ოდენობით: მოწოდებისას იგი ორჯერ ზედიზედ 39-ჯერ შეცდა, მეორე ადგილზე „გასული“ ბარტოლის კი ასეთი „იაღლიში“ მხოლოდ 24-ჯერ მოუვიდა. ამით, ვფიქრობთ, ყველაფერია ნათქვამი. თუმცა ნახევარ მილიონზე მეტი გირვანქა სტერლინგი მარია შარაპოვას „მზითევზე“ არც თუ ურიგო „დანამატია“ — შემოდგომაზე იგი ცოლად მიყვება NBA-ში მოთამაშე სლოვენიელ კალათბურთელს საშა ვუიაჩიჩს.

**ირმა ირემაშვილი**



# რეკორდი კორტზე

**29 წლის ჩოგბურთელებმა — ესპანელმა დავით ფერერმა და ამერიკელმა მერდი ფიშმა გასულ უქმეებზე დევისის თასის მეოთხედფინალის მეოთხე მატჩში დაამყარეს ტურნირის რეკორდი.** მათი ორთაბრძოლა, რომელიც გასრულდა ანგარიშით 7:5, 7:6 (7:3ძ, 5:7, 7:6 (7:5ძ ესპანელის სასარგებლოდ, გაგრძელდა 4 საათსა და 11 წუთს, რაც დევისის თასის რეკორდია ოთხი სეტისგან შემდგარი ბრძოლისთვის.

საერთო შედეგად ესპანეთის ნაკრებმა სტუმრად დაამარცხა აშშ ნაკრები ანგარიშით 3:1. და ახლა ნახევარფინალში შინ შეხვდება საფრანგეთის ნაკრებს. მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ახლანდელი ჩემპიონი სერბეთი და არგენტინა.

მინისტერიალი — 2011

# როცა მინისტრი მოიცლის

**მაშინ, როცა მინისტერიალის ფინიშამდე მედლები სპორტის ორიოდე სახეობაში დარჩა გასათამაშებელი, თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.**

მოგეხსენებათ, გუნდურ ჩათვლაში გასამარჯვებლად მძაფრი ბრძოლაა გაჩაღებული თავდაცვისა და



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროებს შორის.

ამ უკანასკნელებს სოლიდური მარაგით დაწინაურების შანსი ფრენბურთელთა ტურნირის ფინალში გასვლით მიეცათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს — მართალია, პირველი პარტია მოიგეს, მაგრამ მომდევნო ორი დათმეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან — 1:2 და მეორე ადგილს დასჯერდნენ.

სხვათა შორის, ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს ქალთა ასპარეზობის პროგრამითაც, მაგრამ რადგან სხვა სამინისტროებმა და სამთავრობო უწყებებმა მონაწილეთა გამოყვანა ვერ შეძლეს, აღნიშნული მატჩის შედეგი (2:0 სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გუნდის სასარგებლოდძ საერთო ჩათვლაში არ შევიდა.

ასე რომ, ხვალ მინისტერიალის ჯილდოებს კალათბურთელები გაითამაშებენ, ხოლო 17 ივლისს — ფეხბურთელები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე სახეობაში უმაღლესი სინჯის ჯილდოებისთვის შინაგან საქმეთა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროების გუნდები იბრძოლებენ, არაა გამორიცხული, რომ საბოლოო ცხრილში ძალოვანებმა დიდი ნახტომი გააკეთონ წინ.

***სხვათა შორის, ფეხბურთელთა ბოლო აკორდის მოგვიანებით გამართვა ორგანიზატორებმა ორიგინალურად ახსნეს — ტურნირის ერთ-ერთ ბომბარდირს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლადო ვარძელაშვილს ამ დღეებში გადატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვს და სათამაშოდ ვერ მოიცლისო(!ძ. რატომ ჰგონიათ ზოგ-ზოგიერთებს, რომ სხვები მოცლილნი არიან?!***

**გია პლატონიშვილი**

ინტერნეტიდან

## ძმამ კარგად ვერ დაამუშავაო



**როგორც ლონდონიდან იუწყებიან, მსოფლიო ჩემპიონმა მძიმე წონაში WBC ვერსიით, უკრაინელმა მოკრივემ ვიტალი კლიჩკომ განაცხადა, რომ უნდა ბრიტანელ მოკრივესთან დევიდ ჰეისთან შეხვედრა, რომელსაც წინა კვირაში საპატიო ქამარი ჩამოართვა უმცროსმა კლიჩკომ — ვლადიმირმა.**

„როდესაც ჩემმა ძმამ მოუგო ჰეის, ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვიყავი დედამიწაზე, — თქვა უფროსმა კლიჩკომ, — მაგრამ, სამწუხაროდ, ვლადიმირმა ვერ მოახერხა მისი ნოკაუტში ჩაგდება, ეს ხომ ძნელია, როცა მეტოქე სულ გაგირბის. მომავალში, შესაძლოა მე მომიწიოს ჰეის იატაკზე დაგდება, — მე კი ამას გავაკეთებ“.

## თურქეთში ასე გადაწყვიტეს

**ჩვენ უკვე ვწერდით ჩაწყობილი მატჩების აგორებულ სკანდალებზე, რაშიც ბევრი ქვეყანა გაება. მათ შორის არიან თურქი ფეხბურთის ჩინოვნიკები თუ მოთამაშეები. ზოგიერთი მათგანი ციხეშიც კი აღმოჩნდა, მათ შორის „ფენერბახჩეს“ თავკაცები. ახლა თურქულ ფეხბურთში შექმნილ კორუფციულ ვითარებას იქაური პოლიცია იძიებს.**

როგორც უკვე შეგატყობინეთ, ჩვენს მეზობელ ქვეყანაში ფეხბურთში ჩემპიონატის დაწყება დაგეგმილია 5 აგვისტოსთვის. მაგრამ, უეფას მოთხოვნით, იქაური ფეხბურთის ფედერაციას 15 ივლისამდე, მესამე შესარჩევი რაუნდის კენჭისყრამდე, უნდა დაესახელებინა ევროთასების გათამაშებაში მონაწილე გუნდები და აი, გადაწყვიტეს, გამოძიების დამთავრებამდე, გათამაშებაზე დაუშვან „ფენერბახჩე“ და „ტრაბზონსპორი“.



## არმანის სახე გახდა

**სახელგანთქმული პოპ-შემსრულებელი, „ლოს-ანჟელეს დოჯერის“ ბეისბოლისტ ბეტ კემპის დაქალი რიანა ცნობილი ფირმის Armani ჯინსებისა და ქვედა თეთრეულის შემოდგომა-ზამთრის კოლექციის სახე გახდა, ამ პოსტზე მან შეცვალა ჰოლივუდელი მსახიობი ქალი მეგან ფოქსი.** ეს ბარბადოსელი მომღერლებისთვის პირველი შემთხვევა როდია ცნობილი ბრენდების სარეკლამო კამპანიაში.

ამ კომპანიის მამაკაცური სახე კი ცნობილი ჩოგბურთელი რაფაელ ნადალია.

გამოიცა

# სისხლსავსე ცხოვრების მართალი ქრონიკები

ამ ბოლო ათწლეულებში უამრავი წიგნი იბეჭდება. ამდენი მწერალი და პოეტი თუ გვყავდა, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი. ხალხი პირდაპირ წიგნად ამბობს სათქმელს, იმის მიუხედავად, აქვს რაიმე სათქმელი თუ არა.

ეს განსაკუთრებით მემუარულ ჟანრს ეხება, სამწუხაროდ უმრავლეს შემთხვევაში განვლილ გზას აჯამებენ ადამიანები, რომელთა ცხოვრებაც არაფრით საინტერესო, გამორჩეული არ ყოფილა. წამიკითხავს სქელტანიანი მოგონებები, რომლებშიც მთავარი, კულმინაციური მომენტია, თუ როგორ დაიცვა ავტორმა სადოქტორო დისერტაცია, ენა ჩააგდებინა ოპონენტს, ან როგორ მიიღო ბინა და როგორ მოაწყო ხალხმრავალი, უხვი ბანკეტი... ამ „მემუარებში“ კარგად ჩანს ავტორის თითქოს საშლელით გადლაბნილი პორტრეტი.

აი ასეთ „საშიშ“ ვითარებაში გადავფურცლე **ომარ მარგველაშვილის** ახალგამოცემული წიგნი **„დრო, დრო აღნიშნე“** (საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, რედაქტორი ბელა ლოლაძე, რედაქტორ-გამომცემელი ზაურ ნაჭყებია).

ომარ მარგველაშვილს – დამსახურებულ მშენებელს, ყოფილ მსხვილ სახელმწიფო და სამეურნეო მოხელეს, დიდი ხანია ვიცნობ. ჰეეე, 1989 წლის დეკემბრიდან, როცა ის საქართველოს მაშველთა რაზმს ხელმძღვანელობდა მიწისძვრით დაქცეულ ლენინაკანში, მე კი, ჩემი გაზეთიდან მივლინებით ვიყავი იქ. იმ დროიდან მახსოვს დაკისრებული საქმისადმი მისი პასუხისმგებლური დამოკიდებულება, სერიოზულობა, თუ გნებავთ სიმკაცრეც. ამდენად, მას მართლაც უნდა ჰქონოდა მკითხველისთვის გასაზიარებელი.

მოლოდინმა გამიმართლა. მთავარი ის არის, რომ წიგნი არ ჰგავს ამ ჟანრის სხვა გამოცემებს. ომარ მარგველაშვილი კი არ მოგვითხრობს თავის ცხოვრებას, ასე ვთქვათ, ანიდან ჰოემდე, არამედ განვლილს, განცდილს ფრაგმენტულად, თითქოს უცხო თვალით დანახულად გადმოგვცემს. თითოეული ეს „ფრაგმენტი“ დამოუკიდებელი ნაწარმოებია, ფაქტობრივად ცალკე ნოველაა, რომელიც ორგანულად არის ჩაწნეხილი საერთო ქარგაში და იქიდან უბრალოდ ვერ ამოშლი. რაც მთავარია, ეს ფრაგმენტები (არ მინდა მათ თავები ვუწოდო) დაწერილია ცოცხლად, საინტერესოდ, მიმზიდველად და გატაცებით იკითხება.




ავტორი ძირძველი თბილისელი კაცია, ომის შემდგომი პერიოდის ქალაქელი, როცა თბილისელობა ჯერ ისევ ზრდილობითა და კაცურობით იზომებოდა და ფასდებოდა, როცა თბილისელობა მძიმედ სატარებელი ტვირთი იყო, ყოველ წუთს უნდა დაგეცვა მისი ღირსება და სახელი. სულ 25 წლისა იყო, როცა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის უფროსობა ანდეს. ამ დროისთვის მას მშენებლის სერიოზული გზა ჰქონდა გავლილი – შრომას ადრეულ ასაკიდან შეუდგა. უკვე მშენებლობის მინისტრის მოადგილე იყო, როცა მოსკოვს, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის აკადემიას მიაშურა და სწავლების ორწლიანი კურსი გაიარა. სად არ უმუშავია მაღალ თანამდებობებზე: იყო რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე, საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილე, „საქმახტმშენის“ მმართველი, ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე... ყოველთვის და ყველგან გამოირჩეოდა. ეკონომიკის მეცნიერებათა საკანდიდატო დისერტაციის დაცვაც მოასწრო.

სამწუხაროდ, დღეს ალმაცერად უყურებენ (ყველას განურჩევლად) „ავადსახსენებელი“ კომუნისტური პერიოდის მოღვაწეებს. არადა მათი უმრავლესობა განათლებული, პატრიოტი, მაღალი რანგის პროფესიონალი და ღირსეული ადამიანი იყო, რომლებიც საუკუნის სახეს ქმნიდნენ. სწორედ მათთან შეხვედრებზე გვიამბობს ავტორი. მისი გმირები არიან საკავშირო მინისტრები, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები, ხელოვნების, კულტურის მუშაკები. ბევრი მათგანი დღეს ლეგენდარული პიროვნებაა.

მოხდენილად, მართებულად წერს წინათქმაში მწერალი გურამ ბენაშვილი: ეს წიგნი ბობოქარი დროის ცოცხალი ანარეკლია, სიმართლეა განვლილ ეპოქაზე,. ომარ მარგველაშვილის სისხლსავსე ცხოვრებისა და მოღვაწეობის მართალი ქრონიკებია. ეს არის აღსრულება იმ წმინდა ვალისა, წარსულის წინაშე რომ აქვს თავისი ქვეყნის ჭეშმარიტ პატრიოტსა და მოქალაქეს.

ვერაფერს დაამატებ...

**ალეკო ასლანიშვილი**

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვმუშაობ ერთ-ერთ ახლადშექმნილ „შპს“-ში იურიდიულ კონსულტანტად. უფროსმა დამავალა შრომის შინაგანაწესის შედგენა, რალაც თითქოს „მოვახლაფორთე“ კიდეც, მაგრამ არ ვიცი, რამდენად სწორად. იქნებ დამეხმაროთ და მაცნობოთ, ძირითადად რა უნდა განისაზღვროს შრომის შინაგანაწესით?**

**შორენა გოცაძე**

**პასუხი:** ჩვენო შორენა, თუ იურისტი ხართ (თუნდაც დამწყები), შრომის შინაგანაწესის შედგენის შესახებ კანონის მოძიება არ უნდა დაგჭირვებოდათ, მაგრამ რაკი დახმარებას გვთხოვ, რედაქცია სიამოვნებით ასრულებს თქვენს თხოვნას და განგიმარტავთ, რომ შრომის შინაგანაწესი უნდა შეადგინოთ წერილობითი ფორმით და გამოაკრათ თქვენს საწარმოში თვალსაჩინო ადგილას.

შრომის შინაგანაწესით უნდა განისაზღვროს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყების და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას – ცვლის ხანგრძლივობა; დასვენების ხანგრძლივობა; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და ადგილი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და გაცემის წესი; შრომის პირობების დაცვის წესები; წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი.

აღსანიშნავია, რომ სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით, დამსაქმებელმა შრომის შინაგანაწესით შეიძლება განსაზღვროს სპეციალური წესები.

ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ შრომის ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანაწესი ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია, პირს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდგომში – მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება.

* * *

**კითხვა: რამდენ საათს შეადგენს სამუშაო დროის ხანგრძლივობა კვირაში იმ დაწესებულებებსა და საწარმოებში, რომლებიც არ ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან?**

**პასუხი:** ასეთ საწარმოებსა და დაწესებულებებში სამუშაო დროის ხანგრძლივობა შეადგენს კვირაში 41 საათს.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, ვისი დასაქმება არ შეიძლება ზეგანაკვეთურ სამუშაოზე. უფრო კონკრეტულად, აქვს თუ არა უფლება დამსაქმებელს 6 თვის ორსულ ქალს დაავალოს კვირაში ერთჯერ, ხან ორჯერ, ძირითადი სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ მუშაობა (როცა მსგავსი რამ შრომის ხელშეკრულებით – სამუშაოზე მიღების დროს, არ იყო გათვალისწინებული) ან დაემუქროს სამუშაოდან გაგდებით?**

**თამთა გიორგობიანი**

**პასუხი:** არა, ეს კანონით დაუშვებელია და ეთიკური თვალსაზრისითაც ყოვლად მიუღებელი. უფრო მეტიც, საქართველოს შრომის კოდექსის მე-17 მხლის მე-2 პუნქტით აკრძალულია როგორც ორსული, ისე ახალნამშობიარები ქალის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

ინფორმაცია

## სომალელების მიერ დატყვევებული ქართველები ოჯახებს ვერ უკავშირდებიან

**ამის შესახებ ერთ-ერთი დატყვევებულის ჯაბა ქარჩავას დედამ განაცხადა. გულნარა ხაბაძის თქმით, მისი შვილი ოჯახს ბოლოს მაისში დაუკავშირდა.**

**– მაისის შემდეგ ჯაბა ველარ გვეხმიანება. ვერ ეხმიანებიან თავიანთ ოჯახებს სხვა დატყვევებულებიც. ბოლოს როცა დაგვირეკა გვითხრა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ახლა კი, არ ვიცით რა მდგომარეობაა, – განაცხადა საუბრისას გულნარა ხაბაძემ.**

**მისი თქმით, მის ოჯახს არც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ეხმიანება.**

## მთვრალმა პოლიციელმა ორი მოქალაქე მოკლა

**თელავის სასამართლომ წინანდალში ორი ადამიანის მკვლელობაში ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.**

**როგორც უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურიდან იტყობინებიან, 2011 წლის 8 ივლისს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა შსს-ს სამინისტროს თანამშრომელმა დავით ჩოთალიშვილმა ურთიერთშელაპარაკების დროს თელავის რაიონის სოფელ წინანდალში. დაახლოებით 00:15 საათზე ტაბელური იარაღიდან გასროლით მოკლა შოთა ბატიაშვილი და გიგა გემაზაშვილი. ჩოთალიშვილმა, ასევე, ესროლა გიორგი დათუკიშვილსაც, მაგრამ ააცილა, გიორგი დათუკიშვილმა გაქცევა მოახერხა.**

**სასამართლოს ინფორმაციით, დავით ჩოთალიშვილს წარედგინა ბრალდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19-109-ე მუხლის III ნაწილის „ა„ ქვეპუნქტით და 109-ე მუხლის III ნაწილის „ა„ ქვეპუნქტით. 2011 წლის 9 ივლისს კი, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.**

## წულაძის მკვლელობაში ბრალდებულებს განაჩენი გამოუტანეს

**სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა. ქმრის მოკვლის შეკვეთისთვის გიორგი წულაძის მეუღლეს ინგა წულაძეს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი, საქმის უშუალო შემსრულებელს ზურაბ სოლომნიშვილს უვადო თავისუფლების აღკვეთა, საქმეში შეუამავალს ელენე თუშიშვილს კი 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.**

**– 2009 წელს, აპრილის თვეში, ოჯახური კონფლიქტის გამო, ინგა წულაძემ მისი მეუღლის გიორგი წულაძის მოკვლა გადაწყვიტა. ის თავისი მოახლის ელენე თუშიშვილისა და მდგმურის ზვიად საყვარელიძის საშუალებით დაუკავშირდა ზურაბ სოლომნიშვილს, ვინც 5000 ამერიკული დოლარის სანაცვლოდ დასთანხმდა ინგა წულაძის მეუღლის მოკვლას. აღნიშნულმა პირებმა შეიმუშავეს გეგმა და ზურაბ სოლომნიშვილს მიაწოდეს ინფორმაცია გიორგი წულაძის გადაადგილების შესახებ. იმავე წლის 29 აპრილს, მიღებული ინფორმაციის თანახმად სოლომნიშვილი ჩაუსაფრდა გიორგი წულაძეს და ცეცხლსასროლი იარაღის ერთი გასროლით მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო სასიკვდილო ჭრილობა, – განაცხადა სააპელაციო სასამართლოს სპიკერ - მოადგილე თამარ ალანიამ.**

## წყალდიდობის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა

**როგორც თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ივანე მეგულაშვილმა განაცხადა, თეთრიწყაროს რაიონში წყალდიდობის შედეგად 62 წლის ქსენია შერვაშიძე დაიღუპა.**



**– შერვაშიძე ძლიერი წვიმების შედეგად მოვარდნილმა დიდმა წყალმა სოფელ სამღერეთთან გაიტაცა. ის ამ დროს მანქანაში 4 ნათესავთან ერთად იმყოფებოდა. დანარჩენებმა მოასწრეს მანქანიდან გადმოსვლა და გადარჩნენ, ქსენია შერვაშიძე კი წყალმა გაიტაცა, – განაცხადა მეგულაშვილმა.**

**მისი თქმით, ძლიერმა წყალმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ლიპის წყალსაცავს.**

## ერთ დღე-ღამეში ოთხი მიწისძვრა მოხდა

**აზერბაიჯანის ქალაქ შირვანთან 24 საათის განმავლობაში ოთხი მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრის სიმძლავრემ 3,1 დან 4,2 ბალამდე შეადგინა.**

**პირველი ბიძგი შაბათს 06:19 საათზე (ადგილობრივი დროით) დაფიქსირდა და ეპიცენტრი შირვანიდან ჩრდილოეთით 30 კილომეტრში მდებარეობდა.**

**ოთხივე მიწისძვრის ეპიცენტრი მაქსიმალურ 30 კმ. და მინიმალური 16 კმ სიღრმეზე დაფიქსირდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ზაფხული

# თუ თავი არ გეცოდებათ, აბრძანდით თბილისის ზღვაზე, „დაისვენეთ“!




ზაფხული ძალაში შევიდა. აუტანელი სიცხეები დაიკავა და როგორც სინოპტიკოსები „გვაიმედებენ“ ტემპერატურა კიდევ უფრო აიწევს. თბილისელთა შეძლებულმა ნაწილმა თავი უცხოეთის საკურორტო ზონებს შეაფარა. უმეტესობა, ანუ ნაკლებშეძლებულნი შავიზღვისპირეთის მარგალიტს – ბათუმ-ქობულეთს სტუმრობს. ქალაქში დარჩენილთა იმედად კი კვლავ თბილისის ზღვა რჩება. „ზღვას ვამბობ, თორემ რა ზღვაა“... სწორედაც, რომ თბილისის წყალსაცავს შეეფერება დიდი ვაჟას სტრიქონების პერიფრაზირება. ადრე ჩვენს ბავშვობაში და სიჭაბუკეშიც, სანამ ქვეყანას „სისხლისმსმელი კომუნისტები“ მართავდნენ ამ წყალსაცავს ზღვა ერქვა და 1953 წლიდან (მისი ექსპლუატაციაში





გაშვების დღიდანძ სულ უფრო და უფრო კეთილმოწყობილი ხდებოდა. ის დედაქალაქის მართლაც ღირსშესანიშნაობას და თბილისელებისა და მისი სტუმრების დასვენება-გართობის ცენტრს წარმოადგენდა თავისი კეთილმოწყობილი პლაჟით, კაფე-ფაცხა-რესტორნებით, სანატორიუმ-სასტუმროებითა და საწყალოსნო სპორტის ცენტრით. როგორც საუბრისას გვჩვევია – წავიდნენ კომუნისტები და თან წაიღეს ყველაფერი.

ჩვენი გაზეთის შარშანდელ ნომერშიც ვწერდით თბილისის ზღვისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მოუწესრიგებლობისა და ანტისანიტარიის შესახებ. არ ვამტკიცებთ მარტო ჩვენი პუბლიკაციის გამო, რადგან ამ თემას სხვა ჟურნალ-გაზეთებიც გამოეხმაურა, მდგომარეობა შედარებით გამოკეთდა. შედარებით, რადგან აქაიქ სანაგვე ბუნკერებიც დაიდგა და რამოდენიმე გასახდელიც გაჩნდა, წლობით აუმოქმედებელ ონკანებსა და „სოკოებშიც“ ცისკარასა თუ ადგილობრივი ხელმძღვანელობის წყალობით წყალმაც დაიწყო წანწკარი და ჩამონგრეულ-ჩაჟანგებული საჩრდილობებიც ასე თუ ისე მოწესრიგდა, მაგრამ...

მოკლედ ზაფხულის ხვატს თავშესაფარად კვლავ თბილისის ზღვას ვეწვიე მეგობართან ერთად... ჩემს სათქმელს ჩემსავით დასვენება-გაგრილების იმედად ამოსულ თბილისელებს მივანდობ, ვისაც ჩემი პროფესიის გამო და აქაურობის ნახვით გულდათუთქულმა გავესაუბრე.

**გოგი დოლენჯაშვილი**, ნაინჟირალი, ამჟამად უმუშევარი: აქვე ვცხოვრობ, თემქის დასახლებაში, ფეხით სულ ათი წუთის სავალია სახლიდან. ბავშვები ამომყავს. აქ უნდა ამოვიდე, აბა იმის სახსრები სად მაქვს „აკვაპარკში“ ან კუს ტბაზე წავიყვანო ცოლ-შვილი, კურორტებზე რომ არაფერი ვთქვა. სისულელეა აქ ამოსვლა. საჩრდილობელი, გასახდელი და სასმელი წყალი ხომ ფუფუნებაა. შარშან საბავშვო მოედანი მაინც იყო, წელს ისიც გააქრეს. წყალიც დაბინძურებულია.

– მზეს ხის ძირში თუ შეეფარები – საუბარში ჩაერთო მისი მეგობარი – მაგრამ ისეა გაბურდული ბუჩქები და მუხლებამდეა წამოზრდილი ბალახი, რომ იქაც საშიშია გაჩერება, მით უმეტეს ქვეწარმავლებია მომრავლებული.

**მაკა დუღაშვილი**, პედაგოგი: ჩემს ახალგაზრდობაში აქ ბანაკიც იყო მოწყობილი. ბავშვები ლაშქრობებზე ამოგვყავდა, ათასნაირ ღონისძიებებს ვაწყობდით. ახლა რა უნდა მოგისაჯონ ისეთი, რომ აქ დასასვენებლად ამოხვიდე. ფინანსებს რა ვუთხარი, თორემ აქ ნორმალური ადამიანი ამოვა?! ერთი ბოთლი წყალი, ჩვეულებრივზე ვამბობ, მინერალური არ გეგონოთ, 1 ლარი ღირს. დადიან აგერ „მოსიარულე მარკეტები“, ყიდიან მზესუმზირას, „ლობიანებს“, ხაჭაპურებს და ლუდის პლასტმასის ბოთლებში ჩასხმულ ჩვეულებრივ წყალს. გული რომ შეგიწუხდეს, დასალევს ვერსად ნახავთ, ყველა ონკანი გაფუჭებული და ჩაჟანგებულია.

**თემურ ჯალაღონია**, საბერიოდან დევნილი: ზღვა მენატრება და იმიტომ ამოვდივარ. გავხედავ წყალს და მოგონებებში ვიძირები. თორემ აქ ყოფნა მართლაც საშიშია, რამე დაავადება არ აიკიდოს კაცმა. გადახრუკულ ბალახებში უხსენებელიც უნახავთ. ისე ხალხიც ცოდავს, მთელი სანაპირო ნაყინის შესაფუთი ქაღალდებით, ცელოფნის პარკებითა და ცარიელი ბოთლებითაა მოფენილი. ისე კი არის „ბუნკერი“ იქით (ხელს იშვერს გზის გადაღმა მხარისკენ და მეც ვხედავ ნაგვითა და საკვების ნარჩენებით სავსე ბუნკერს, რომელსაც ბუზები დასტრიალებენძ მაგრამ ხალხი მაინც აქ ტოვებს ნაგავს. ერთი ბუნკერი რას ეყოფა აქაურობას.



პატარა კაფესთან ერთი გასახდელია, ისიც ფასიანი, ავტომანქანების შესვლა ფასიანი – 1 ლარი, საზკვების ჯიხურებშიც არ მოდის წყალი და ბალონებით ამოტანილ წყალში ავლებენ ჭიქათეფშებს.

**კახა ძარაია**, მაშველი: მართალია კომფორტი კი არა მინიმალური პირობებიც არ არის, რომ ადამიანმა დაისვენოს, მაგრამ ხალხი მაინც ამოდის. სამუშაო ბევრი გვაქვს, უფრო მეტი კი ნერვების წყვეტაა. ამოდიან პურმარილით, აბა აქ ვერაფერს იყიდიან, მერე მთვრალებს მოუნდებათ ცურვა და გაგრილება. არის ხვეწნა-მუდარა. როგორც მოგეხსენებათ თბილისის ზღვის მაქსიმალური სიღრმე 43 მეტრია, საშუალო – 26 მეტრი. შუაგულში წყალი ცივია, მოქმედებს გადახურებულ სხეულზე, მით უმეტეს მთვრალ ადამიანზე. ბევრი არ გვიჯერებს და იძულებული ვართ პატრულს მივმართოთ. სამუშაო მართლაც ბევრი გვაქვს მთელი დღე, და თქვენ წარმოიდგინეთ ღამითაც. ზოგს ღამით მოუნდება ნამთვრალევზე გაგრილება. არის გაწევ-გამოწევა. მოკლედ „საინტერესო სამუშაო“ გვაქვს რა?!

რა თქმა უნდა, დასიცხული ვბრუნდები თბილისის ზღვიდან. მართლაც საინტერესო ფაქტია, ზღვა გქონდეს და მისი მოვლა არ შეგეძლოს კაცს.

თუ დედაქალაქის ხელმძღვანელობა – მერია, საკრებულო და გლდანი-ნაძალადევის გამგეობა ვერ უზრუნველყოფს აქაურობის კეთილმოწყობას, იქნებ ვინმე ბიზნესმენმა მაინც მიხედოს-მეთქი, ჩავილაპარაკე.

– ეგენი შენზე ჭკვიანები არიან ძმაო, თბილისის ზღვის ყიდვა მინდაო ვინმემ რომ თქვას, გაფიქრებასაც ვერ მოასწრებს ისე შეაწერენ ათი იმდენ ფულს ხელისუფალნი. იყიდოს და თუ გაუმართლა, იმხელა თანხას დაადებენ აქ ამოსვლას, რომ კუს ტბა და „აკვაპარკი“ სანატრებელი გაგიხდება – ჩაილაპარაკა ჩემმა მეგობარმა და ხერხემალზე ფერდებმიწებებულ ჩამომხმარ, გაძუცულ ძაღლს გახედა, რომელმაც დიდი წვალებით დაითრია ბუნკერიდან ნაგვის ტომსიკა და ბუჩქებისკენ წალასლასდა.

ასე რომ, თბილისის ზღვა კარგა ხანს იქნება ასე უპატრონოდ მიტოვებული. სინოპტიკოსები კი ცხელ ზაფხულს გვპირდებიან, თუ არ ვცდები სექტემბრის ბოლომდე.

**ავთანდილ ბექაური**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 599-62-77; 599 32-85-76.



## ანეკდოტები

ტიპი შეხვდა ძმაკაცს, სახედალურჯებულსა და თვალებამოშავებულს.

– რა მოგივიდა? – ეკითხება.

– მცემეს.

– რისთვის?

– ცხვირის დაცემინებისთვის.

– როგორ? მარტო ცხვირის დაცემინებისთვის?

– ჰო, იმისთვის, რომ ცხვირი დავაცემინე. კარადაში ოღონდ!



* * *

– შვილო, მინდა, გაგახარო, – ეუბნება მამა ქალიშვილს. – პეტკამ შენი ხელი მთხოვა.

– კარგია, მაგრამ ისე ძალიან არ მინდა დედასთან განშორება...

– ნურც გაშორდები, შვილო! თან წაიყვანე!

* * *

საქორწინო მოგზაურობაში წასვლა უმჯობესია ქორწილამდე.

* * *

თუ ქალი არ გიყურებს, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ არ გხედავს.

* * *

სიდედრიც კი შეიძლება იყოს კეთილი და გულისხმიერი ადამიანი. ოღონდ ეს ჯერ არავის უნახავს და ვერც ნახავს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24